კორუფცია და მოყიყინე ბაყაყები A3
საპროტესტო აქცია შაშიაშვილის წინააღმდეგ A4
TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 14 აგვისტო, 2003 წელი. №219 (431)

ფასი 30 თეთრი

დიდი ოჯახის განსხვავებული სადღეგრძელო

რევაზ საყევარიშვილი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა თამამად შეგვიძლია ვთქვათ: სამივემ საკუთარი წილი საჩუქარი მიიღო. სამივემ იმ დამსახურებათა შესაბამისად, რაც საქართველოში წახალისებულია. ამ "ქართული ენერგეტიკის ბერმუდის სამკუთხედის" წლობით ნამოქმედარი რად დაუჯდება ქვეყანას, სულ მალე გამოჩნდება. მანამდე კი სამივე ერთად და თითოეული ცალ-ცალკე იმკის იმ ნაყოფს, რაც შევარდნაძის ნოყიერ ბაღჩაში თითოეული მათგანის სახელზე იყო დათესილი.

მაღლა დაღმავალი კიბით

რაც არ უნდა მოხდეს, დღესვე ცხადია, რომ დავით მირცხულავა ნამდვილად შევა ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ენერგომინისტრი. მუდმივად იმპიჩმენტის საფრთხის ქვეშ მოღვაწემ, მუდმივად საეჭვო გარიგებებში გახლართულმა, მუდმივად საკუთარი უდანაშაულობის მამტკიცებელმა მირცხულავამ თავისი მინისტრული კარიერის ფინიშის სწორზე ბრწყინვალედ შეასრულა ქართული ენერგოსექტორის "რუსიფიცირების" დავალება და სათანადო ჯილდოზეც არის წარდგენილი: თუ პარლამენტმა მისი კანდიდატურა დაამტკიცა, მირცხულავა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პირველკაცი, ანუ, რეალურად, დარგის აბსოლუტური ლიდერი გახდება. სწორედ მის ხელში იქნება ამჯერად მობილიზებული დარგის მართვის ყველა ბერკეტი, მან უნდა გასცეს ან არ გასცეს ლიცენზიები (ანუ დაუშვას ან არ დაუშვას ბაზარზე) დარგის ყველა სუბიექტზე, დაადგინოს ტარიფები, დანაკარგების ზღვრული ოდენობები და ა.შ. და ა.შ.

შესაბამისად, დავით მირცხულავა იქნება პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველაზე "გრძელვადიანი" ენერგოჩინოვნიკი, რომელიც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრობიდან წასვლის შემდეგ, არათუ კარგავს, არამედ, პირიქით, იძლიერებს პოზიციებს. ჯილდო შესრულებული სამუშაოს ადეკვატურია: მირცხულავამ ყველაფერი გააკეთა ქართული ენერგოსექტორის დასავლურიდან რუსულ "რუბილნიკზე" გადასართავად და ახლა გრძელვადიან იმუნიტეტს ნამდვილად საჭიროებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ირაკლი მაჭავარიანი მიესალმება კოკოითის საკადრო რევრესიებს

პრეზიდენტის მრჩეველი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის საკითხებში ირაკლი მაჭავარიანი სამხრეთ ოსეთში კოკოეთის მიერ გატარებულ საკადრო წმენდას დადებითად აფასებს. **"მივესალმები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნის ფაქტს, რომელიც მიზნად ისახავს დესტრუქციული ელემენტების თავიდან მოშორებას,"** - განუცხადა "24 საათს" მაჭავარიანმა.

შეგახსენებთ, რომ ედუარდ კოკოითმა 12 აგვისტოს, პარლამენტის სხდომაზე მთავრობის დათხოვის შესახებ განცხადება გააკეთა. პრეზიდენტმა მთავრობის ხელმძღვანელობა დროებით საკუთარ თავზე აიღო.

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის აზრით, კოკოითის ინიციატივა ცხინვალის ხელისუფლების განმტკიცებისკენ არის მიმართული, ხოლო **"ქართული მხარისთვის ოსეთის სტაბილურ და ძლიერ ხელისუფლებასთან დიალოგი, კონფლიქტის მოწესრიგების მიმართულებით, უფრო ადვილია."** თანაც, მაჭავარიანის მტკიცებით, იმ ხალხის უმრავლესობა, რომელსაც კოკოითი ხელისუფლებიდან იშორებს, ანტიქართულად იყო განწყობილი და ხელს უწყობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებას. აქედან გამომდინარე, ქართულ მხარეს ყველანაირად ხელს უნდა აძლევდეს საკადრო ცვლილება ცხინვალის ხელისუფლებაში. "24 საათთან" საუბარში მაჭავარიანმა ისიც აღნიშნა, რომ მთავრობის სრული შემადგენლობის დათხოვნა ფორმალური პროცესია, კოკოითი ბევრ მისთვის სასურველ პირს ისევ დააბრუნებს ხელისუფლებაში.

24 საათი

...ყველა დასაჭერია?!

თამარ ხორბალაძე

მთავრობის გუშინდელი სხდომა, რომელიც სსფ-ს წინაშე ნაკისრ შეუსრულებელ ვალდებულებებს, კონტრაბანდას, საპენსიო უზრუნველყოფაში არსებულ დარღვევებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს ეძღვნებოდა, მთავრობის წევრთა დაპირისპირების ფონზე წარიმართა.

მართალია, ყველაფერ ამაში აშკარად არის წინასაარჩევნო პიარის მომენტი (მთავრობის შეკრებები ბოლო დღეების განმავლობაში უკვე თითქმის ყოველ დღე იმართება - ერთ დღეს მთავრობა ჯორბენაძესთან იკრიბება, მეორე დღეს - ბალუაშვილთან, ხან - ორივესთან ერთად, ოთხშაბათობით კი ტრადიციული მთავრობის სხდომაა პრეზიდენტთან, და ყველაფერი ეს კანცელარიისთვის უჩვეულო ფორმატში - ღიად ტარდება, რაც მთავრობის ქმედითობისა და კეთილი სურვილების შესახებ ქმნის შთაბეჭდილებას, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ეს პიარ-კამპანია ხელისუფლებას სასიკეთო შედეგებს ნამდვილად ვერ მოუტანს.

გუშინდელ სხდომაზე მთავრობა ერთმანეთს რამდენიმე მიმართულებით დაუპირისპირდა:

სახელმწიფო მინისტრმა იუსტიციის მინისტრს "დაარტყა", მოტივით - პოლიტიკურ ზეწოლას ვერ უძლებს და ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაზე დადებითი დასკვნის დაწერაზე უარს იმიტომ აცხადებსო.

გაგრძელება A3 გვერდზე

ჩაეთვლება თუ არა ხელისუფლებას ვენსიების დარიგება ამომრჩევლის მოსყიდვად?

პარლამენტი გულარხეინობამ შეიპყრო. ჩვენს დეპუტატებს, როგორც ჩანს, დიდად არც საარჩევნო კოდექსი ადარდებთ და არც ბიუჯეტის კორექტირების საკითხი, რის თაობაზეც სავალუტო ფონდს პასუხი უკვე 15 აგვისტოს უნდა გაუგზავნონ. გუშინ პარლამენტმა კვლავ ვერ მოახერხა სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის საკითხის განხილვის დაწყება. სარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებსაც კენჭი დღეს უნდა უყარონ.

ლელა მჭედლიძე

ეს კენჭისყრა, წესით, დებატების გარეშე უნდა ჩატარდეს. ამაზე, საარჩევნო ცვლილებების მისაღებად თავგადადებულად მომუშავე რამდენიმე პარლამენტარი, გუშინ ლამის საზეიმოდ შეთანხმდა (რიგგარეშე სესიის გუშინდელ სხდომას დღის პირველ ნახევარში, დაახლოებით, შვიდი პარლამენტარი ესწრებოდა, მეორე ნახევარში ეს რიცხვი 50 დეპუტატამდე გაიზარდა).

წყნარ იდილიაში მიმდინარე სხდომაში დისონანსი პირველად "აღორძინების" წევრმა ზურაბ ქაფიანიძემ შეიტანა: **"გამაგებინეთ ერთი, არჩევნების საკითხი პარლამენტში რატომ წყდება?"** შემდეგ შეფიქრიანებულ კოლეგებს გონს მოსვლა არ აცალა და საკუთარ რიტორიკულ კითხვას ქრება მოკვლით რკინიგზის შეფი მაღლაფერიძეს.

გადაცემის გასვლის შემდეგ "პატივაყრილმა" პრეზიდენტის ერთგულმა ქვეშევრდომმა ჩხაიძემ საოლქო სასამართლოს მიმართა და საკუთარი ღირსების აღდგენის მოთხოვნით გადაცემისგან მილიონი ლარი მოითხოვა.

ამ ცოტა ხნის წინ სასამართლომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა რამდენიმე საათში პირველივე

გაგრძელება A2 გვერდზე

"თუ ასე გაგრძელდა, სატახტო ქალაქი რამდენიმე პირის საკუთრებად იქცევა"

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი მამა ზენონი პარლამენტს მცხეთის სტატუსის შესახებ კანონპროექტის დაბლოკვაში ადანაშაულებს. "მცხეთის ხელისუფლება მხოლოდ მოსახლეობაში დეზინფორმაციის გავრცელებას არ სჯერდება და ყველაფერს აკეთებს, რომ პარლამენტმა ეს კანონპროექტი არ მიიღოს. მათ ლობისტები ჰყავთ კანცელარიაშიც, რომელთაც პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს," – აცხადებს მამა ზენონი.

A2

ამინდი

თბილისი	36
ბათუმი	28
ქუთაისი	32
სოხუმი	32
გორი	34
ცხინვალი	28
თელავი	28
ბოლნისი	34
ონი	34
ფასანაური	27
საბარეჯო	33
სამტრედია	33
ლაგოდეხი	36
ტყიბული	28
თიანეთი	28
დუშეთი	27
მანგლისი	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1200
ევრო	2.4062
გირვანქა სტერლ	3.4202
რუბლი	0.0697

ხელისუფლებამ სიტყვის თავისუფლებას "სამართლებრივად" შეუტია

არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედიის წარმომადგენლები და სტუდენტები საოლქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც გადაცემა "60 წუთს" სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის აკაკი ჩხაიძის სასარგებლოდ მილიონი ლარის გადახდა დაევალა. ხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილება და "საქართველოს რკინიგზის" შეფის "მილიონიანი ღირსება" გუშინ "თავისუფლების ინსტიტუში" შეკრებილების ხანგრძლივი მსჯელობის საგანი გახდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ რკინიგზის შეფი "60 წუთის" იმ გადაცემის გამო უჩიოდა, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ბიზნესმენი ალექსანდრე მაღლაფერიძე აკაკი ჩხაიძეს, ფიზიკური განადგურების მუქარაში ადანაშაულებდა. მტკიცებულებისთვის გადაცემაში წარმოდგენილი იყო ბიზნესმენსა და ჩხაიძეს შორის სატელეფონო ჩანაწერების რამდენიმე ფრაგმენტი, საიდანაც აშკარად ირკვევა, თუ როგორ ემუქრებოდა მეთაურის რუსლან გელაევის ძმა, სალმან გელაევი აღმოჩნდა. ქისტებმა ის სასტიკად სცემეს, ამის შემდეგ სოფელ დუისში, ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკში შეიჭრნენ და იქაურობა დაარბიეს, მუშტი-კრივით გაუსწორდნენ იქ მყოფთ. **"სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობა და გადაიხვეწეთ ხეობიდან, ისე, რომ აღარც გაბედოთ უკან დაბრუნება,"** - ასეთი

გაგრძელება A3 გვერდზე

პანკისის ხეობაში ვითარება გამწვავდა

ადგილობრივი ქისტები ჩეჩენ ლტოლვილებს პანკისის ხეობის დატოვებას აიძულებენ

იმ დროს, როცა ყველა ერთხმად აღიარებს, რომ პანკისის ხეობაში სტაბილური მდგომარეობაა, იქ ჩეჩენი მებრძოლების ყოფნის საფრთხე აღარ არსებობს და აღარც ნარკობარონები მოღვაწეობენ, სიტუაცია ხელახლა ირევა. ამჯერად, ერთმანეთს ადგილობრივი ქისტები და ჩეჩენი ლტოლვილები უპირისპირდებიან, დაპირისპირება ხელჩართულ ომში გადადის და ყველაფერი იმით მთავრდება, რომ პანკისელი ქისტები ხეობიდან ჩეჩნების სამუდამოდ გადახვეწას მოითხოვენ.

ხათუნა ჭანგირაშვილი

12 აგვისტოს, საღამოს, ბაწარას ხეობაში მძაფრისიუჟეტიანი კონფლიქტი დაიწყო. მოქეიფე ადგილობრივ ქისტებსა და ჩეჩნებს შორის, რომლებსაც აქამდე ერთმანეთთან მშვიდი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, შელაპარაკება მოხდა. იქიდან გამომდინარე, რომ რაოდენობრივად ჩეჩნები ქისტებზე მეტნი იყვნენ, შელაპარაკებით დაწყებული არეულობა და შეხლა-შემოხლა ჩეჩნების სასარგებლოდ დასრულდა. სასტიკად ნაცემმა, განაწყენებულმა ქისტებმა, რომელთაც ძმები - ასლან და სულთან ბაღაკაშვილები მეთაურობდნენ, ჩეჩნების წინააღმდეგ ყველა ქისტის ერთიანად დარაზმვა და ანგარიშსწორება გადაწყვიტეს. პირველი ჩეჩენი, ვინც დარაზმულმა ქისტებმა ხელთ მოიგდეს, ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ძმა, სალმან გელაევი აღმოჩნდა. ქისტებმა ის სასტიკად სცემეს, ამის შემდეგ სოფელ დუისში, ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკში შეიჭრნენ და იქაურობა დაარბიეს, მუშტი-კრივით გაუსწორდნენ იქ მყოფთ. **"სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობა და გადაიხვეწეთ ხეობიდან, ისე, რომ აღარც გაბედოთ უკან დაბრუნება,"** - ასეთი

გაგრძელება A4 გვერდზე

რატომ ვერ იხდის ვალს "ტორპედო"?

არის ერთი კაცი, რომელიც საკუთარი თავისგან იღებდა ვალებს, ახლა კი ეს ვალები "ტორპედომ" უნდა იხადოს...

აკა ტონია

ქართული საკლუბო ფეხბურთის სიღარიბის შემყურე, ალბათ, ბევრს გაუფიქრია, - ფეხბურთელებს მილიონებად ყიდიან და გუნდებს მაინც არაფერი ეტყობათო. ყიდიან თუ არა ჩვენი კლუბები თავიანთ ფეხბურთელებს "მილიონებად," საკამათო თემაა, მილიონიანი ტრანსფერები ჩვენში მაინც იშვიათობაა, თუმცა ეს კითხვა სავსებით სამართლიანია. მადლობა ღმერთს, ქართული კლუბები მაინც ახერხებენ თითო-ოროლა ტალანტის "გამოზრდას", შემდეგ კი ამ ტალანტების გაყიდვასაც ახერხებენ, თუმცა... ის, რომ ფეხბურთი ნათლად ასახავს ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას, არაერთხელ დადასტურებულა - ჩვენს ფეხბურთშიც ის ხდება, რაც მთლიანად საქართველოში. თავისი მოკრძალებული შემოსავალი საქართველოსაც აქვს, თუმცა ამისი არაფერი გვეტყობა. მიზეზი ერთია: ქვეყნის კუთვნილ სიმდიდრეს ვიღაც იღებს და საკუთარ ჯიბეში იდებს.

აშშვეთიას ტრანსფერის თანხა "ტორპედოს" პრეზიდენტმა მიითვისა და გაქრა.

ხუთი წელია გასული, რაც საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, იმჟამად კი ქუთაისის "ტორპედოს" ფეხბურთელი მიხეილ აშვეთია სათამაშოდ თბილისის "დინამოში" გადავიდა. ტრანსფერი "ტორპედოდან" "დინამოში" 350 ათასი აშშ დოლარის ღირებულების იყო – ქართული საზომებით საკმაოდ ძვირადღირებული გარიგება. ამ თანხის კანონიერი მფლობელი ქუთაისის "ტორპედო" კვლავინდებურად ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. სასამართლო ერთერთი ბანკის მიმართ დავალიანების გასტუმრებას "ტორპედოსგან" დღემდე მოითხოვს. რატომ უნდა იყოს ეს კლუბი ვალებში? ნუთუ აშვეთიას ტრანსფერიდან მიღებული თანხით ვერ მოხერხდებოდა მათი დაფარვა? პასუხს ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტები გაგვცემენ...

შესავალი

1998 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, კომერციულ ბანკ

გაგრძელება A6 გვერდზე

წერილი ბაღდადიდან

ერაყის ომის დროს ბაღდადელი სალამ პაკსი მიმდინარე მოვლენებისა და საკუთარი განცდების შესახებ რეგულარულად წერდა ხოლმე. მისი წერილები ინტერნეტის მომხმარებლებში უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა. ახლა, სალამ პაკსმა ბრიტანულ "გარდიანთან" დაიწყო თანამშრომლობა, სადაც სტატიებს აქვეყნებს. ეს ერაყის შესახებ დაწერილი სალამ პაკსის ბოლო სტატიაა.

სალამ ჰაქსი
"გარდიანი"

ბაღდადის ერთ-ერთ შესასვლელთან კედელზე წარწერაა: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სიბნელისა და უმუშევრობის რესპუბლიკაში!"

ბაღდადში მთელი დღის განმავლობაში ელექტროენერგია არ იყო. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს 50 გრადუსი ცელსიუსით სიცხეში ძილი? ვფიქრობ, ამჟამად ევროპაში დამდგარი სიცხეების შედეგად, ცოტათა მაინც ხვდებით.

დღევანდელი ამბები ოფისში: ჩვენმა ერთ-ერთმა მძღოლმა მუჰამედმა ჩათვალა, რომ მისი ოჯახის წევრების დასაძინებლად საუკეთესო ადგილი მანქანა იქნებოდა, სადაც კონდიციონერს ჩართულს დატოვებდა. ჩვენს მეორე თანამშრომელ შიჰაბს კი მთელი ღამის განმავლობაში ბავშვებისათვის წყალი მიჰქონდა, გული რომ არ წასვლოდათ. დღეს ყველა თანამშრომელს უძილობისაგან თვალები ჰქონდათ დასიებული და თავი სტკიოდათ. ჰაიფა, სიმპათიური ქალბატონი, რომელიც ჩვენი ყავით მომარაგებაზე ზრუნავს, "ამ პოლ ვიღაცაზე" ბუზღუნებდა, რომელიც ტელევიზორით ყოველდღე ტყუილებს გვეუბნება. მან პოლ ბრემერი (ერაყის სამოქალაქო ადმინისტრაციის ამერიკელი ხელმძღვანელი) სადამ ჰუსეინს შეადარა. ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ მას ტელევიზიით. ახალი ამბებიც მხოლოდ იმის შესახებ არის, რა თქვა და რა გააკეთა მან. მალე, ალბათ, მისი ძეგლიც დაიდგმება ქუჩებში. ისეთი გრძნობა გრჩება, რომ იგი სადღაც სხვაგან ცხოვრობს და წარმოდგენა არ აქვს, რას ამბობს ხალხი.

გაგრძელება A5 გვერდზე

„ძლიერ სქესზე უკომპრომისოები"

"ჩვენ თქვენი დიდი იმედი გვაქვს". ქალბატონებმა ნინო ბურჯანაძეს განუცხადეს.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან ერთად ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრა.

"იმასთან შეგუება, რაც ქვეყანაში ხდება, ელემენტარულად შეუძლებელია. მე მწვავედ ვგრძნობ იმის აუცილებლობას, რომ არჩევნებში ჯანსაღმა დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვონ. სამწუხაროდ, მთავრობის მხარეს ამ ძალებს ვერ ვხედავ. მე დიდი იმედი მაქვს ქალებისა, რომლებიც ძლიერ სქესზე უფრო უკომპრომისოები არიან და ბრძოლის უნარიც შესწევთ," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გამომსვლელებმა, რომელთა შორის საზოგადოებისთვის ცნობილი და ღვაწლმოსილი ადამიანები იყვნენ, ნინო ბურჯანაძისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატეს და ოპოზიციას გაერთიანებისაკენ მოუწოდეს.

"ჩვენ თქვენი დიდი იმედი გვაქვს. თუ ოპოზიცია თქვენს გარშემო არ გაერთიანდება, არჩევნებს აზრი არ ექნება და იგივე პარლამენტს მივიღებთ, რაც დღეს გვაქვს. თქვენ ნათელი წერტილი ხართ და ჩვენ მოვითხოვთ ოპოზიციის გაერთიანებას," –უთხრეს ქალბატონებმა პარლამენტის თავმჯდომარეს.

ნინო ბურჯანაძეს ოპოზიციის გაერთიანების პირობა არ დაუდია, მაგრამ ნდობისათვის დიდი მადლობა გადაიხადა და ისიც თქვა, თქვენს სურვილებს მაქსიმალურად გავითვალისწინებო.

24 საათი

მოკლედ

თევზაძე მთავრობას „პარტიზანული მოქმედებით" ემუქრება

თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მოითხოვს, ნატო-ს სწავლებისათვის ვაზიანის ბაზის მოსამზადებლად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა გასცეს ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება, რომელიც ბიუჯეტის სეკვესტრის მიღებამდე შეჩერებულია.

თევზაძის თქმით, თავდაცვის სამინისტრო პარლამენტის გადაწყვეტილებას ვერ დაელოდება, რადგან 8 სექტემბერს ვაზიანის ბაზაზე იწყება ნატო-ს სწავლებები, რომელიც საერთაშორისო ნომენკლატურაშია შესული. აქ სამხედრო სწავლებები ყოველწლიურად ტარდება და მომავალშიც უნდა ჩატარდეს.

თავდაცვის მინისტრს მიაჩნია, რომ მთავრობა ვალდებულია, სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ბაზა და იქ მუშაობის ნორმალური პირობები შექმნას. თევზაძე მისი უწყებისათვის ყოველგვარი შეზღუდვების გაუქმებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „პარტიზანულად მოქმედებით" იმუქრება. დავით თევზაძის თქმით, ამ ღონისძიების ჩავარდნა უპირველეს დარტყმას ქვეყნის პრესტიჟს მიაყენებს.

მედია-ნიუსი

„შევარდნაძის წასვლის შემდეგ ხალხი მის შვილს კისერზე არ დაისვამს"

სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე ვარაუდობს, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტი თავისი შვილის, პაატა შევარდნაძის კანდიდატურას წამოაყენებს. მისივე განცხადებით, შევარდნაძე არარეალურად აფასებს სიტუაციას და ჰგონია, რომ მისი წასვლის შემდეგ ხალხი მის შვილს კისერზე არ დაისვამს.

"ალბათ, იქნება პაატა შევარდნაძის გაპრეზიდენტების მცდელობა, - ამბობს ნათაძე, - რადგან საქართველოს პრეზიდენტს ცინცხალი მაგალითი აქვს აზერბაიჯანელი კოლეგის სახით. მაგრამ ქართველებისაგან განსხვავებით, ჰეიდარ ალიევი და მისი შვილი აზერბაიჯანელებს არ სძულთ."

სახალხო ფრონტის ლიდერის ვარაუდით, საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ქართულ მასმედიაში პაატა შევარდნაძე სულ უფრო ხშირად გამოჩნდება იმიჯის შესაქმნელად.

მედია-ნიუსი

საქართველოს საგარეო ვალი მშპ-ს 47,03 პროცენტს გაუტოლდა

საქართველოს საგარეო ვალი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 47,03 პროცენტს გაუტოლდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 1 ივლისისთვის საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული კრედიტების გარეშე, 1 714,28 მლნ. დოლარს შეადგენდა. ამავე პერიოდისთვის საქართველომ საგარეო ვალიდან ძირითადი თანხისა და ვალის მომსახურების პროცენტებიანად 48 839 583 დოლარი დაფარა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ვალის ნაშთი სულ 975 605 000 დოლარია. მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ საქართველოს - 298 511 ათასი ლარი, მსოფლიო ბანკის მიმართ - 529 096 ათასი ლარი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიმართ - 4 992 ათასი, ევროგაერთიანების მიმართ კი 105 185 ათასი დოლარი მართებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან სახელმწიფო გარანტიით მიღებული ვალის ნაშთი 37 821 ათას დოლარს შეადგენს. ქვეყნებიდან საქართველოს ყველაზე მეტი თურქმენეთის მართებს (297 746 ათასი დოლარი). რუსეთის მიმართ დავალიანება 156 858 ათას დოლარს შეადგენს, ხოლო ავსტრიისთვის საქართველოს 89 489 ათასი დოლარი აქვს დასაბრუნებელი.

ინტერ-პრესი

ახალი გვირაბი აჭარაში

აჭარაში მწვანე კონცხი-სახალვაშოს ორი პარალელური გვირაბის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა. გვირაბის პირველი მგზავრი ასლან აბაშიძე იყო.

როგორც ავტონომიის მეთაური ამბობს, გვირაბის მშენებლობა აჭარის ბიუჯეტით დაფინანსდა. პროექტით გათვალისწინებულია კიდევ ორი გვირაბის მშენებლობა, რომელთა დასრულების შემდეგაც 30 კილომეტრიანი გზა უღელტეხილზე 12- კილომეტრიანი ავტოსტრადით შეიცვლება. ეს კი საშუალებას მისცემს მძღოლებს, დრო ერთი საათით შეამცირონ.

აჭარის გეოლოგიის დეპარტამენტს მზად აქვს მეორე და მესამე გვირაბების საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები.

აჭარის გეოლოგიის დეპარტამენტი მშენებლობის დასრულებისთანავე გვირაბების ორივე მხარეს ჩაატარებს მეწყერისაგან დამცავ სამუშაოებს. პროექტი 2005 წლისათვის დასრულდება. ამჟამად სახალვაშოდან ციხისძირამდე ევროპული სტანდარტების ავტოსტრადის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

მედია-ნიუსი

„თუ ასე გაგრძელდა, სატახტო ქალაქი რამდენიმე პირის საკუთრებად იქცევა"

ნანა ქადაგიშვილი

"მცხეთის წმინდა ქალაქად გამოცხადება მხოლოდ ერთეულებს შეუქმნის დისკომფორტს".

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი მამა ზენონი პარლამენტს მცხეთის სტატუსის შესახებ კანონპროექტის დაბლოკვაში ადანაშაულებს. "მცხეთის ხელისუფლება მხოლოდ მოსახლეობაში დეზინფორმაციის გავრცელებას არ სჯერდება და ყველაფერს აკეთებს, რომ პარლამენტმა ეს კანონპროექტი არ მიიღოს. მათ ლობისტები ჰყავთ კანცელარიაშიც, რომელთაც პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს," – აცხადებს მამა ზენონი.

მცხეთის სტატუსის შესახებ კანონპროექტი პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა, დაახლოებით, სამი კვირის წინ განიხილა და მოიწონა, მაგრამ პარლამენტი მისი მიღებისგან თავს იკავებს, დეპუტატებს საერთო ენა ვერ გამოუნახავთ. კანონპროექტს პრეზიდენტმაც ვეტო დაადო. **"მას არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს, თითქოს მცხეთის სტატუსის შესახებ კანონპროექტი მცხეთაში საერო ხელისუფლების გაუქმებას ითვალისწინებს. კანონპროექტში მსგავსი არაფერი წერია,"** – აცხადებს მამა ზენონი. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი თამარ ჩხაიძეც ადასტურებს, რომ კანონპროეტი მხოლოდ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს იცავს ხელყოფისგან და მცხეთის ხელისუფლებას იგი არ ეხება. **"იმისი თქმა, რომ მცხეთის წმინდა ქალაქად გამოცხადება საერო ხელისუფლების სასულიერო შეცვლას ნიშნავს, აბსურდია,"** – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმაც.

როგორც მამა ზენონი გვარწმუნებს, აღნიშნულ კანონპროექტი არც საკუთრების ხელყოფას ითვალისწინებს და არც მოსახლეობას აკისრებს დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდას, როგორც ამას მცხეთის რაიონის ხელისუფლება აცხადებს. **"მცხეთის წმინდა ქალაქად გამოცხადება მხოლოდ ერთეულებს შეუქმნის დისკომფორტს. თუ ასე გაგრძელდა, სატახტო ქალაქი რამდენიმე პირის საკუთრებად იქცევა. ჯვრის მონასტერსა და "სვეტიცხოველს" შორის 16 რესტორანი მაინც დგას. რესტორნების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ არის ადგილები, რომელთა გასხვისება დაუშვებელია. კანონპროექტის მიღების შემდეგ წმინდა ადგილების გაყიდვის უფლება აღარავის ექნება. მის მოწინააღმდეგეებს სწორედ ეს არ აწყობთ,"** – აცხადებს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი.

მამა ზენონი იმედოვნებს, რომ მცხეთის სტატუსის შესახებ კანონპროეტის მიღების შემდეგ პოლიტიკოსთა მხრიდან წმინდა ქალაქით სპეკულირება და წინასაარჩევნოდ ქულების ჩაწერაც შეწყდება.

ხელისუფლებამ სიტყვის თავისუფლებას „სამართლებრივად" შეუტია

ვირველი გვერდიდან

პროცესზე დააკმაყოფილა, ისე რომ, მოპასუხე მხარის ბრალეული ქმედება არ დაუმტკიცებია. უფრო მეტიც სასამართლო კოლეგია არც კი შეეცადა, თანხის ოდენობის სამართლიანობა დაესაბუთებინა. რატომ ღირს რკინიგზის შეფის პატივი და ღირსება მილიონი ლარი? ამის ახსნა მოსამართლებმა რატომღაც არ მოინდომეს.

"თავისუფლების ინსტიტუტში" შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხსენებული გადაწყვეტილება, სასამართლოს მხრიდან პოლიტიკური შეკვეთის შესრულების კლასიკური ნიმუშს წარმოადგენს და ის გამოძიებითი ჟურნალისტიკის წინააღმდეგ არის მიმართული.

გუშინ მიღებული განცხადების ტექსტს აქვე გთავაზობთ. ***24 საათი***

განცხადება

არჩევნების მოახლოებასთან ერთად მკაფიოდ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ჩაახშოს სიტყვის თავისუფლება და იგი ხელისუფლების სრულ კონტროლს დაუქვემდებაროს. რაც ყველაზე სახიფათოა, პოლიტიკური ხელისუფლება ამ მიზნით სასამართლოს იყენებს და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საბურველით შემოსვას ცდილობს. ამის მაგალითია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაზეთ "ბათუმელების" რეგისტრაციის გაუქმება და გაზეთის დამფუძნებლებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა, რაც მათთვის გასაჩივრების უფლების აკრძალვაში გამოიხატა. სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით პრესის თავისუფლების შეზღუდვის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ს ხელისუფლები ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის, აკაკის ჩხაიძის სასარგებლოდ უპრეცედენტო ოდენობის თანხის - მილიონი ლარის გადახდა დააკისრა.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად დაუსაბუთებელია და სასამართლოს მხრიდან პოლიტიკური შეკვეთის შესრულების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება ისე გამოიტანა, რომ მოპასუხეს არ მისცა მტკიცებულებების წარდგენის საშუალება. მეტიც, სასამართლომ ჟურნალისტები სხვათა, მათ შორის ოფიციალური პირების გამონათქვამებისა და ჟურნალისტური კომენტარის გავრცელებისთვის დასჯა. კერძოდ, გადაცემაში გამოყენებული იყო ოფიციალური სტრუქტურების - კონტროლის პალატის, ფინანსთა და უშიშროების სამინისტროების მიერ მომზადებული დოკუმენტები, მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ვალერი ჩხეიძის გამონათქვამები, ასევე - აშშ-ში მცხოვრები ბიზნესმენის, ალექსანდრე მაღლაფერიძის გამონათქვამები, მის მიერ მოწოდებული დოკუმენტები და სატელეფონო საუბრის ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც ეს უკანასკნელი დიდი ხანია, პროკურატურისგან ითხოვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას: კოლეგიამ ისე მიუსაჯა მოპასუხეს მორალური ზარალის ასანაზღაურებლად ერთი მილიონი ლარის გადახდა, რომ არც უცდია მოპასუხის ბრალეული ქმედება დაემტკიცებინა, როგორც ამას კანონი მოითხოვს. სასამართლო კოლეგიას არც თანხის ოდენობის - მილიონი ლარის სამართლებრივი დასაბუთება უცდია, საერთოდ არ დაინტერესებულა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საოლქო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკით, სრული იგნორირება გაუკეთა მოპასუხეთა ყველა არგუმენტს და საეჭვო იურიდიული კაზუისტიკის მოშველიებით უარი თქვა მტკიცებულებების მოსმენაზე, რითაც მოპასუხეები, ფაქტობრივად დაცვის გარეშე დატოვა.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, ისე საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა საქართველოს სასამართლოებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება პირდაპირაა მიმართული საქართველოში გამოძიებითი ჟურნალისტიკის, სიტყვის თავისუფლებისა და თავისუფალი მედიის არსებობის წინააღმდეგ.

ნებისმიერი მოქალაქის, ვისთვისაც ფასეულია დემოკრატიული ღირებულებები და სიტყვის თავისუფლება, ვალია, ხმა აიმაღლოს სიტყვის თავისუფლების ჩახშობის წინააღმდეგ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ხელისუფლება ამჟამად სასამართლოს გზით ცდილობს იმ ამოცანის შესრულებას, რასაც ორი წლის წინ ნოემბრის აქციები მოჰყვა. მაგრამ, როგორც ნოემბრის სახალხო გამოსვლებმა აჩვენა, ქართველი ხალხი არ შეეგუება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას და ხელისუფლებას ძალიან ძვირი დაუჯდება სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მორიგი გალაშქრება.

განცხადებას ხელს აწერენ არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის, უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები.

რატომ ხდება თვის დასაწყისში „პრაკრუტკები"?

8 აგვისტოსთვის, როგორც იქნა, დასრულდა ივნისის თვის ხელფასების დაფინანსება. შეგახსენებთ, რომ უკვე გაიცა თავდაცვის სამინისტროს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით გათვალისწინებული და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ივლისის ხელფასები.

მაგრამ, ჯერ არ დაფინანსებულა იძულებით გადაადგილებულ პირთა ივლისის შემწეობები. საინტერესოა, რატომ დუმს ამაზე პოლიტიკური ელიტა? განსაკუთრებით ის ხალხი, ვის პირდაპირ მოვალეებშიც შედის დევნილ მოსახლეობაზე ზრუნვა.

სამაგიეროდ, დაფინანსდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის სუბსიდია, საბიუჯეტო ორგანიზაციების კომუნალური (ელექტროენერგია, წყალი და კავშირგაბმულობა) ხარჯები.

რატომ ხდება თვის დასაწყისში "პრაკრუტკები"? პასუხი მარტივია - ბიუჯეტის კორექტირებით სწორედ "საპრაკრუტკო" ხარჯების შემცირებაა გათვალისწინებული.

არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში, საუკეთესო შემთხვევაში, წლის ბოლომდე დაუფინანსებელი დარჩება დევნილთა ერთი თვის შემწეობა და საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობის ორი თვის ხელფასი.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

2003 წლის 4 აგვისტო - 8 აგვისტოს პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

№	დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
1	საგარეო ვალდებულებები	**3,955.5**
	თურქეთის კრედიტის მომსახურება	1,955.5
	ს.ს. „ქართული შაჰრი" – თურქმენეთის ვალის სახაზინოდ შესრულებული სამუშაოების დღგ-ებულების ანაზღაურება	2,000.0
2	საერთაშორისო პროექტების თანადაფინანსება	**980.0**
3	საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის შრომის ანაზღაურება	**2,588.4**
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	800.0
	თავდაცვის სამინისტრო	1,788.4
7	სხვა საქონელი და მომსახურება	**266.3**
	სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური	4.5
	საბიუჯეტო ორგანიზაციების კომუნალური ხარჯები	261.8
9	ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები	**130.0**
14	პრეზიდენტის ფონდი	**184.3**
	საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია (წინა პერიოდის დავალიანება)	184.3
17	სუბსიდიები	**330.0**
	საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია (წინა პერიოდის დავალიანება)	330.0
18	ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები	**265.3**
	დისკრეტი სახაზინო ვალდებულებებზე	202.9
	სასამართლო გადაწყვეტილებები	62.4

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მერაბ სამადაშვილის ინიციატივით 15 აგვისტოს ახალი პოლიტიკური მოძრაობა "ძლიერი რეგიონები ძლიერი საქართველოსათვის" დაფუძნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი არ ეთანხმება ოპოზიციური პარტიების განცხადებას პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საგარეო კურსის დასავლეთიდან რუსეთისკენ შეცვლის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მამუკა ნიკოლაიშვილის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე შესაძლო დანიშვნას მხარს არ დაუჭერს და დასძენს, რომ მისი ფრაქციისათვის პრეზიდენტის გუნდის ნებისმიერი წევრის კანდიდატურა ამ პოსტზე მიუღებელი იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უნივერმაღ „თბილისის" ხელმძღვანელობასა და ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონს შორის სასამართლო დავა დღეს საოლქო სასამართლოში გაგრძელდება. უნივერმაღის ხელმძღვანელობა აპროტესტებს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, საგანგებო ლეგიონს სავაჭრო ცენტრის შემოწმების ნება დაერთო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ადვოკატების გამოცდების ჩატარების თარიღსა და პირობებზე იქნება საუბარი იუსტიციის საბჭოს მდივნის ზურაბ აბაშიძის პრესკონფერენციაზე, რომელიც სასტუმრო „მერიოტში" დღეს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ელგუჯა ჯამბურია კონფლიქტის ზონაში გაერო-ს მიერ დაკომპლექტებული სამოქალაქო პოლიციის ოცკაციანი ჯგუფის მუშაობის შედეგებს ეჭვით უყურებს. "20 კაცი თუ მოაგვარებს სამეგრელოში ყველაფერს, კარგი იქნება, მაგრამ არ მგონია, - განაცხადა ჯამბურიამ, - ჩემთან მოსული იყო გაერო-ს მისიის წარმომადგენელი და როცა ვკითხე, რა ინსტრუქციებით იხელმძღვანელებენ და როგორ ითანამშრომლებენ პოლიციასთან, განმიცხადა, რომ ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებულნი არ არიან," – აცხადებს ჯამბურია. **ექსპრესი**

■ ■ ■

თბილისი. გურჯაანის საავადმყოფოში 11 აგვისტოს 3 წლის ბექა სიბაშვილი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად ექიმები დიდი ოდენობით მედიკამენტების მიღებით გამოწვეულ მოწამვლას ასახელებენ. **ექსპრესი**

■ ■ ■

თბილისი. გორის ქუჩაზე მდებარე საქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე მკვლელობა მოხდა. ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი, 35 წლის ვლადიმერ ჯამბურია გადაჭრილი თოფიდან გასროლით ზურგში დაჭრეს. ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. **ექსპრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის წევრი, მცხეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გურამ შარაძე მცხეთის ადგილობრივ ხელისუფლებას და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციას მის წინააღმდეგ "ჯვაროსნული ომის" დაწყებაში ადანაშაულებს. როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 11 აგვისტოს ღამით, მას შემდეგ, რაც მან მხარდამჭერებთან ერთად მცხეთაში ქალაქის უკანონო გაყიდვის წინააღმდეგ აქცია ჩაატარა, მისი საარჩევნო შტაბი დაარბიეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 15 სექტემბრამდე თბილისელებისთვის სასწრაფო-სამედიცინო დახმარება „03"-ის მომსახურების ახალი პროგრამა ამოქმედდება. ამ პროგრამას თბილისის ბიუჯეტი 2,5 მილიონი ლარით დაფინანსებს. როგორც მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ვახტანგ სურგულაძე აცხადებს, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება „03"-ისათვის სპეციალიზებულ ავტომანქანებს რუსეთის ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდიდან ჩამოიყვანენ. 15 სექტემბრამდე დაიბეჭდება და თბილისის რაიონულ პოლიკლინიკებს დაურიგდება სასწრაფო-სამედიცინო დახმარება „03"-ის უფასო მომსახურების ტალონი, რომლის გამოყენება თითოეულ თბილისელს წელიწადში სამჯერ შეეძლება. დანარჩენ შემთხვევებში, გარდა ქუჩაში მომხდარი შემთხვევებისა, თხუთმეტ წლამდე მოზარდების მომსახურების და კატასტროფებისა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება „03"-ის მომსახურება ეღირება ექვსი ლარი. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმებს კი, ხელფასი 60-დან 80 ლარამდე გაეზრდებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. როგორც მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ვახტანგ სურგულაძე აცხადებს, ინდური და ინდონეზიური მედიკამენტები ბავშვთა ასაცრელად საშიში არ არის.

„ამ წამლებს ჩვენთვის „იუნისეფი" იძენს და ერთადერთი განსხვავება ფრანგულ და ინდურ-ინდონეზიურ მედიკამენტებს შორის ფასია, რაც ინდოეთსა და ინდონეზიაში მუშახელის დაბალი ანაზღაურებით აიხსნება", – აცხადებს ვახტანგ სურგულაძე. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებებში: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან საღლობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

თბილისი. პარლამენტი საარჩევნო კოდექსში სპეციალურ ჩანაწერს გააკეთებს, რომლითაც საქართველოში მოქმედ ტოტალიზატორებს, არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ფსონების მიღება აეკრძალებათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ფინანსთა სამინისტროს დაავალა შესაბამისი კანონპროექტის მომზადება, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნება კონტრაბანდული გზით იმპორტირებული და ასევე უკანონოდ წარმოებული და რეალიზებული სიგარეტის დაბალ ფასებში გაყიდვა. ამონაგები თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შევიდეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საწარმოთა მართვის სააგენტოში შექმნილმა კომისიამ, რომელშიც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლებიც შედიან, 53 მსხვილი საწარმოს წმინდა მოგების გადანაწილების შესახებ წინადადებები განიხილა. როგორც სააგენტოში განაცხადეს, გასანაწილებელი წმინდა მოგება 644,6 ათას ლარს შეადგენს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 208,1 ათასი ლარი ბიუჯეტში შევა, ხოლო 456,5 ათასი ლარი საწარმოთა განკარგულებაში დარჩება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიმდინარე წლის 7 თვეში ფინანსთა სამინისტრომ ეროვნული ბანკიდან 192,7 მლნ. ლარის ოდენობის სესხი აიღო და ამავე პერიოდში 157,4 მლნ. ლარი უკან დაუბრუნა. საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, სამინისტროსთვის სესხები წლიური 9 პროცენტის გადახდის პირობით გაიცა. გაცემული თანხიდან 47,1 მლნ. ლარი (მთლიანი სესხის 24,5 პროცენტი) ფინანსთა სამინისტრომ საგარეო ვალდებულებების დასაფინანსებლად გამოიყენა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად აღებულ სესხებზე ფინანსთა სამინისტროს დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ 807,5 მლნ. ლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას ეჭვი აქვს, რომ საფოსტო ბანკი და ზოგიერთი სახელისუფლებო სტრუქტურა ლტოლვილთა დახმარებებისა და საპენსიო დავალიანებების გაცემას შეგნებულად აჭიანურებენ. **"თანხა, რომელიც ხელისუფლებამ, თითქმის, 25 დღის წინ გამოყო და უკვე დარიგებულიც უნდა იყოს, არც ლტოლვილებს და არც პენსიონერებს არ მიუღიათ,** - განაცხადა მთავრობის სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა, - **ეს თანხა რომ ერთი თვით მაინც გააჩერონ და რაიმე ფინანსური ოპერაციები განახორციელონ, მავანსა და მავანს თვეში 100-ათასიან მოგებას მოუტანს".** ინტერ-პრესი

■ ■ ■

თბილისი. მიმდინარე წლის 6 თვეში საქართველოში კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიების რაოდენობა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამით გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, საქართველოში შვილობილი კომპანია 10 კომერციულ ბანკს აქვს. გასულ წელთან შედარებით, შვილობილი კომპანიები დამატებით საქართველოს საფოსტო ბანკმა (2) და ბანკმა "რესპუბლიკამ" (1) შექმნეს. ამჟამად ყველაზე მეტი შვილობილი კომპანია საქართველოს საფოსტო ბანკსა და ბანკ "ქართუს" აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში ქართული ტელე-რადიომაუწყებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სპეციალური პროგრამა სეკვესტრში მოყვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების პროექტს მხარს არ უჭერს და ფინანსთა სამინისტროს მიერ სოფლის მეურნეობის სექტორში გატარებულ სახარჯო პოლიტიკას აპროტესტებს. **ინტერ-პრესი**

დიდი ოჯახის განსხვავებული სადღეგრძელო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუმცა, თავად ბატონმა დავითმაც შესანიშნავად იცის, რომ ამ გადაწყვეტილებით, სხვა ბევრის მსგავსად, ისიც ჩაეწერა იმ ჩინოვნიკების კატეგორიაში, ვისი მოღვაწეობის ზღვარიც შევარდნაძის მმართველობის უკიდურეს ვადაზე გადის. რაოდენ დიდი ვადითაც არ უნდა გაამწესონ ის სემეკ-ის შეფად (კანონით ვადა 6 წელია), ფაქტია, რომ მირცხულავა შევარდნაძის დამხობის შემდეგ აღარავის დასჭირდება.

სამწუხაროდ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მანამდე მას რაიმეზე პასუხი მოსთხოვონ. თუმცა, მის ნამოღვაწარს "ხანდაზმულობის ვადა" ნამდვილად არ გააჩნია და არის ალბათობა, რომ, ადრე თუ გვიან, მირცხულავას ბევრ საკითხზე პასუხის გაცემა მაინც მოუხდება. მსგავს მაგალითს მეზობელი თურქეთი იძლევა: "ცისფერი ნაკადის" პროექტში ქვეყნისათვის წამგებიანი გარიგების დადების გამო, თურქეთის ენერგეტიკული სააგენტოს მაშინდელი შეფი დღეს უღრუბლო ცას ტრაბზონის სატუსაღოდან შესცქერის.

და კიდევ ერთი დეტალი: რუსეთუმეების გახმაურებულ წერილს, რომელსაც ინტელიგენციის მიმართვა დაერქვა და ამერიკის ელჩის გაკიცხვასა და რუსეთისკენ გაკეკლუცებას ისახავდა მიზნად, სხვებთან ერთად, დავით მირცხულვას მამა, ბატონი ცოტნე მირცხულავაც აწერს ხელს. ასე რომ, გენეტიკური ერთგულება სახეზეა: რაც მამამ სიტყვით მოითხოვა, შვილმა საქმით გააკეთა. შევარდნაძის საქართველოში ასეთ ერთგულებას განა ვინმე დაუფასებლად დატოვებდა?

ესაა პიკასოს ბიჭი?

ის, რომ მამუკა ნიკოლაიშვილი ადრე თუ გვიან ენერგეტიკის მინისტრის პოსტს დაიკავებდა, არავისთვის იყო საიდუმლო. ამაზე ლაპარაკი და კონკრეტული ქმედებები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ერთ-ერთ სამსახურს ხელმძღვანელობდა. იმ დროს მისი გამინისტრება "უკეთესი დროისთვის" გადაიდო და "დროებით თავშესაფრად" ნიკოლაიშვილს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობა "შეუფარდეს". თუმცა, კანცელარიაში ბატონი მამუკა აშკარად "საჩემოდნო განწყობით" ცხოვრობდა და ინგოროყვას 7-დან ლერმონტოვის 10-სკენ ნახტომისთვის აუჩქარებლად ემზადებოდა.

ისტორია ჯერ არ ამხელს, ისეთი რა ვარსკვლავები დაწყვიტა ნიკოლაიშვილმა ენერგოსექტორში, მინისტრის სავარძელს რომ ეთანადებოდეს. სამაგიეროდ, ისტორია არ მალავს, რომ ნიკოლაიშვილი "უფლისწულ" პაატას ძმა და მეგობარია და განა მარტო თვითონ? ისინი ოჯახებით მეგობრობენ: მისი სიმამრი ავთანდილ ქორიძე განახლებადი ენერგიების საბჭოს თავმჯდომარეა და პრეზიდენტთან გამართულ გაურკვეველი ფორმატის ენერგეტიკულ თათბირებზე არაერთხელ მოუხსენებია მადლობა პაატა შევარდნაძისთვის ხელშეწყობისა და ყურადღებისთვის.

შევარდნაძეები ასეთ ხალხს მადლიერებას არ უვიწყებენ - ნიკოლაიშვილი უკვე მინისტრია. რაც შეეხება მის ადგილს კანცელარიაში, ის შეიძლება საერთოდაც გააუქმონ. ეს ვაკანსია ხომ სწორედ ნიკოლაიშვილისთვის შეიქმნა და მისი საიმედოდ "დაბინავების" შემდეგ, თუ ვინმე მსგავსი "უბინაოს" დაკმაყოფილება არ გახდა აუცილებელი, აშკარად ზედმეტია. რაც შეეხება ფუნქციებს, მათ, ალბათ, უკვე ოფიციალურად შეითავსებენ ჯორბენაძის სხვა მოადგილეები (ისაკაძე და ზოიძე). მით უფრო, რომ იგივეს კეთება აქამდეც ძირითადად მათთვე უწევდათ.

მავრის წასვლა

ელიზბარ ერისთავი სემეკ-ის თავმჯდომარედ 1997 წელს დაინიშნა. იმ დროს, როცა ამ სამსახურის დანიშნულება თითქმის არავის ჰქონდა ბოლომდე გააზრებული. თუმცა, დროთა განმავლობაში, როცა სემეკ-მა ნომინალურად მაინც დაიწყო თავისი ფუნქციების შესრულება, ეს ადგილი საკმაოდ საყურადღებო გახდა. ამიტომაც იყო, რომ ბოლოს მის "გაჭენებას" კანონმდებლებიც, აღმასრულებლებიც და მოსამართლეებიც თანაბარი მონდომებით ცდილობდნენ, თან ისეთი აგრესიით, რომ სემეკ-ის დამოუკიდებლობიდან ბოლოს ნასახიც კი არ დარჩა. არადა, ყველაფერი სწორედ ელიზბარ ერისთავის და მისი ორი მოადგილის (ცინცაძე, ჩომახიძე) სახელით კეთდებოდა.

მავრმა თავისი საქმე გააკეთა, საკმაოდ წარმატებითაც და ახლა უნდა წავიდეს.

წასვლის წინ კუდიც მოაქნევინეს: მისი ხელით გააკეთეს უკანასკნელი საქმეც - დიფერენცირებული ტარიფი დაადგენინეს. ერისთავმა თვითონაც შესანიშნავად იცის, რომ იუსტიციის სამინისტროში დასამტკიცებლად აბსურდი გააგზავნა, მაგრამ რა ქნას? - ასეთი იყო დავალება. დავალებებს კი ის კარგად ასრულებს. წინა საუკუნეში პარტიის დავალებით ეგვიპტის ენერგოსექტორს აყალიბებდა, ახლა - გამოიგონა სქემა, რომლის მიხედვით, ელექტროენერგია ოთხი გვერდიგვერდ მცხოვრები ოჯახიდან ერთისთვის 11 თეთრი შეიძლება ღირდეს, მეორისთვის – 13, მესამისთვის - 15, მეოთხისთვის კი - სულაც 17.

უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული ამ გადაწყვეტილებისთვის ერისთავმა საჩუქრად დამსახურებული დასვენება მიიღო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ალბათ, მის სიჭარმაგეს პატივს სცემენ და აღარაფერზე შეაწუხებენ. მათ შორის, არც იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სემეკ-ის ანუ მის წინააღმდეგ პროკურატურაშია აღძრული. რის გამო? გაგეცინებათ, მაგრამ სწორედ ტარიფის დაუსაბუთებელი ზრდის გამო.

ასე რომ, ბატონი ელიზბარისთვის მართლა საჩუქარი იქნება, თუ დამსახურებულ პენსიას პროკურატურაში დაკითხვებზე სიარულით არ გაუმწარებენ.

ქართული ელცინიადა

ვერ ვიტყვით, რომ პროცესები უინტერესოდ ვითარდება. უფრო პირიქით, ძალიან საინტერესოდ მიდის ყველაფერი. თუმცა, ორიგინალობა ნამდვილად აკლია. მიმდინარეს ცოტა უფრო ფართოდ რომ შევხედოთ და პარალელები გავავლოთ, შევარდნაძის მმართველობის დღევანდელი პერიოდი გაჭრილი ვაშლივით ემსგავსება ელცინის მმართველობის ბოლო მონაკვეთს, განსაკუთრებით, მეორე საპრეზიდენტო ვადის ფინალურ ნაწილს: ერთი შვილი მისი მრჩეველი და საპრეზიდენტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზედამხედველი გახდა, მეორის ქმარი - ნაციონალური ფლაგმანური ავიაგადამზიდავის გენერალური დირექტორი, გარემოცვის შემდეგი შრეების წარმომადგენლები სხვა სახელისუფლო თუ ბიზნეს-პოზიციებზე განლაგდნენ. თან, იმდენად მყარად, რომ თვით საკმაოდ ძლიერ პუტინსაც უჭირს მათი გავლენის შესუსტება, სხვას რომ თავი დავანებოთ, საკუთარ ადმინისტრაციაშიც კი.

აქ რა ხდება? ზუსტად იგივე: ყველა უკანასკნელი მეტ-ნაკლებად სერიოზული დანიშვნა "წმინდა ოჯახის" ინტერესებს უკავშირდება. და თუ აქამდე, უპირატესად, მსგავსი გადაწყვეტილებები პრეზიდენტის მძახლის, სიძე-ქალიშვილის თუ ძმისშვილების სახელთან ასოცირდებოდა, დღეს უკვე წრე შეიკრა და ძმა-ბიჭების თბილ ადგილებზე დაბინავების ესტაფეტა "უფლისწულმა" გადაიბარა: მამა-პრეზიდენტს ერთი საბაჟოს უფროსად მიავლენინა, მეორე - ენერგეტიკის მინისტრად (მანამდე, ერთსაც და მეორესაც, სხვა, ყოვლად უაზრო "სატრამპლინო პოსტი" ჰქონდა შექმნილი). თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაჟოს უფროსს მომავალში ფინანსთა ან სულაც სახელმწიფო მინისტრობასაც უწინასწარმეტყველებენ, ნიკოლაიშვილის დაწინაურება უკანასკნელი არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ თარხან-მოურავსაც აშკარად არ ეტყობა ძლიერი ზურგისა და ამბიციების ნაკლებობა. ის პირდაპირაც აცხადებს, რომ მისი დეპარტამენტი ბიუჯეტის გეგმას არ შეასრულებს და მაინც თანამდებობაზე რჩება. ასეთ "ურჩობას" პრეზიდენტი შემთხვევითს რომ არ აპატიებს, ესეც უდავოა.

ასე რომ, ენერგეტიკაში მომხდარი საკადრო ცვლილებებით ყველაზე დიდი საჩუქარი ისევ პრეზიდენტმა შევარდნაძემ და მისმა ოჯახურმა გარემოცვამ მიიღო, რომელიც უფრო მონდომებით და საფუძვლიანად ჩაეკირა სახელისუფლო ვერტიკალში. "კოლექტიური შევარდნაძე" უკვე სხვაზე მეტად ემზადება პოსტშევარდნაძისტული ეპოქისთვის და სამომავლო ბაზას იფართოებს.

სხვათა შორის, სახელმწიფო მედიამ გუშინ პაატა შევარდნაძის ინტერვიუ გამოაქვეყნა. 15 წლით პარიზს მივლენილი უმცროსი შევარდნაძე საქართველოში ჩამოსვლაზე ალაპარაკდა. მზრუნველი მამა-პრეზიდენტი მას უკვე ყველა პირობას უქმნის საიმისოდ, რომ თავი უცხოდ ან დაჩაგრულად არ იგრძნოს და "წარმატებული" გარემოცვით მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი.

"შევარდნაძემ "ახალი ცოცხის" მამა-პაპისეული ანდაზაც კი გააუფასურა"

დაწინაურებული "მსხვერპლი" და მისი ადგილმონაცვლე.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲮᲐᲠᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲝᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სათბობ-ენერგეტიკის ექსმინისტრის დავით მირცხულავას მიერ თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვებიდან მხოლოდ ორი დღე გავიდა, პარლამენტში კი უკვე მთავრობის სხვადასხვა გათვლებზე ალაპარაკდნენ. დეპუტატების ვარაუდით, ნიკოლაიშვილის კანდიდატურის დასამტკიცებლად საჭირო 79 ხმის მოგროვება მთავრობისთვის პრობლემა არ იქნება. თუმცა, "გაერთიანებული დემოკრატები" ამ პროცესში მონაწილეობაზეც კი უარს აცხადებენ. **"ჩვენ ახლა ვერანაირ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ ამ მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებზე",** - ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" სახელით, განაცხადა ზურაბ ცქიტიშვილმა. **"ახალი ცოცხის" შესახებ მამა-პაპისეული ანდაზაც კი გააუფასურა შევარდნაძემ",** - ასეთი შეფასება მისცა ენერგეტიკის სფეროში მთავრობის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა, "ნაციონალმა" რომან გოცირიძემ.

"ეს გადაგომა კი არ არის, არამედ სერიოზული დაწინაურებაა, ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეობა ერთი საფეხურით მაღალი თანმდებობაა, ვიდრე მინისტრობა. ის მინსიტრსაც აკონტროლებს, სამინიტროსაც და მთელ ენერგეტიკულ სექტორსაც", - ასეთი შეფასება მისცა ენერგეტიკულ სექტორში მთავრობის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს დეპუტატმა რევაზ არველაძემ.

"დავითს მისცეს ძალიან მაღალი რანგის სამსახური. ეს უფრო მეტია, ვიდრე მინისტრობა. ამით მისი გავლენა სათბობ-ენერგეტიკის სფეროში უფრო გაიზარდა", - მირცხულავას დაწინაურებაზე საუბრობს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი ზურაბ ცქიტიშვილიც.

პარლამენტარები ექსმინისტრის დაწინაურებას მთავრობისათვის გაწეული სამსახურის საფასურად მიიჩნევენ. **"მირცხულავამ შეძლო საქართველოს ენერგეტიკის ბაზარზე მოეზიდა ისეთი რუსული სახელმწიფო კომპანიები, როგორიცაა "გაზპრომი" და "რაო ეესი". როგორც ჩანს, ამით მან ხელი შეუწყო მთავრობის გავლენიანი წრეების ოცნების განხორციელებას და, ამ სამსახურის საზღაურად, მიიღო ასეთი სერიოზული და საპასუხისმგებლო სამსახურის თავმჯდომარის პოსტი,"** - ასე განმარტავს მირცხულავას დაწინაურების ფაქტს პარლამენტარების ერთი ნაწილი.

ენერგეტიკაში განხორციელებული საკადრო ცვლილებებს განსხვავებულად აფასებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე: **"მავრმა ბნელი საქმე გააკეთა... მავრი კვალავ შემოინახეს ბნელი საქმეების გასაკეთებლად. მირცხულავა მაქსიმალურად გამოიყენეს, აკეთებინეს ძალიან ცუდი საქმეები, იგივე "გაზპრომთან", ეი-ი-ესთან მიმართებაში და მოხსნეს მაშინ, როცა მის მოხსნაზე გული არავის შესტკივა. ახლა კი გაუშვეს ისეთ სამსახურში, სადაც კიდევ უფრო მეტს გააკეთებინებენ."**

...ყველა დასაჭერია?!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გვარი არ დაუსახელებია, თუმცა - აშკარად როლანდ გილიგაშვილი იგულისხმა. იგი არ აპირებს თანხმობა მისცეს სემეკ-ის გადაწყვეტილებას, რომელიც ელექტროენერგიის ტარიფის სსფ-ს მოთხოვნების შესაბამისად გაზრდას ითვალისწინებს (ისე, გუშინ მირცხულავას თანმდებობრივი "სახეცვლილების" შესახებ არც თავად მას და არც საქართველოს პრეზიდენტს არაფერი უთქვამთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მამუკა ნიკოლაიშვილი მინიტრის სკამს უკვე "ირგებს").

საერთოდ, ელექტროენერგეტიკასთან დაკავშირებით გუშინდელ სხდომაზე განვითარებული მოვლენები საკმაოდ საგულისხმო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლეოდა: ძალიან საინტერესოა, რომ მთავრობას სსფ-ს მოთხოვნის აღსრულება ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა თელასი უკვე რუსული კომპანიის ხელშია გადასული. ეს იმ პირობებში, როცა ამერიკულ კომპანიას ფინანსური პრობლემები საქართველოში თავის დროზე სწორედ ტარიფის დაწევის გამო შეექმნა. მაშინ შევარდნაძე საკონსტიტუციო სასამართლოზე "გაბრაზებული" არ ყოფილა, დღეს კი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალი სახალხოდ აფიქსირებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მისი ხელქვეითი ორგანო ჰგონია: **"დაგრეკეთ მაინც ჩემთან, მთავრობას მოთათბირებოდით,"** - მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს ედუარდ შევარდნაძე და უფრო შორსაც მიდის: **"ხელფასები არ გვაქვსო, რომ დამირეკეთ. ხელფასი გინდათ და..."** და გადაწყვეტილებების მიღების წინ შევარდნაძესთან მოთათბირება არ გინდათ?!

შემდგომი დაპირისპირება ფინანსთა და კავშირგაბმულობის მინისტრებს შორის მოხდა - მერაბ ადეიშვილმა მობილური ტელეფონით მომსახურეობის გადასახადის გაზრდა გააპროტესტა და მირიან გოგიაშვილის შეპასუხებას არანაკლებ მკვეთრი ტონი დაუხვედრა, თუმცა ეს დაპირისპირება, საბოლოოდ, მაინც ფინანსთა მინისტრის სასარგებლოდ დამთავრდა, რადგან საქართველოს პრეზიდენტმა აშკარად მას მისცა მხარი.

დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ანზორ ბალუაშვილი და ძალოვანები. თემა - ისევ ნავთობგასამართი სადგურები და ამ სადგურების ლამის თითოეული მფლობელის დანაშაულებრივი მოღვაწეობა გახლდათ. სხვათა შორის, გუშინაც და ადრეც ნავთობპროდუქტების კონტრაბანდაზე მოსაუბრე სახელისუფლებო პირები კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს იკავებენ. არადა, საქართველოში ეს კონტრაბანდული ნავთობი ერთი კონკრეტული გზით, დიდ-დიდი ეშელონებით შემოდის და არა - "კანისტრებით", რომლებიც ამ დღეებში წარმოებული ანტიკონტრაბანდისტული აქტივობის დროს "ამოიღეს" სხვადასხვა ჯუხრის სამართალდამცველებმა. ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის რეაქცია ერთობ მწვავე გახლდათ. სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ შევარდნაძის განრისხება გარკვეულ კავშირშია ამ დღეებში მძახლებთან გამართულ მოლაპარაკებებთან. პრეზიდენტს, თურმე, საქართველოში ნავთობწარმოების პერსპექტივებსა და ამ პერსპექტივის ხელისშემშლელებზე, მათ შორის, მთავრობის და პარლამენტის წევრებზეც ესაუბრნენ, თუმცა, ეს მხოლოდ დაუდასტურებელი კულუარული ინფორმაციაა, მაგრამ, ამ ჭორებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაორის ქარხნის გახსენება უმყარებს ნიადაგს და ისიც ნიშანდობლივია, რომ ორშაბათს რადიოინტერვიუში შევარდნაძემ საქართველოს, როგორც დიდი ნავთობმომპოვებელი ქვეყნის, მომავალზე ისაუბრა.

ყოველივე ამის შემდეგ, ნავთობპროდუქტების თემაზე, საქართველოს პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით თქმულზე ბევრად "დემოკრატიული" კომენტარი გააკეთა: ყველა ბენზინგასამართი სადგურის ხელმძღვანელი დასაჭერიაო, თქვა და სამართალდამცავებს კონკრეტული პირების სასწრაფოდ დაჭერა მოსთხოვა.

პრეზიდენტს გუშინ საფოსტო ბანკის დანაშაულების გამომზეურებაზეც ჰქონდა სანქცია გაცემული. გუშინ მას "პირველად შეატყობინეს" იმ დარღვევების შესახებ, რომელიც საფოსტო ბანკში პენსიების დარიგებისას ხდებოდა - ეს მისია გუშინ კონტროლის პალატის თავმჯდომარემ იკისრა და, სხვა სამართლდამცველებთან ერთად, საკითხის ბოლომდე გამოძიების დავალებაც მიიღო. რა თქმა უნდა, ბენზინგასამართ სადგურებთან ერთად ქვეყნის პრეზიდენტი არც საფოსტო ბანკის მესვეურთა დაჭერაზე იტყვის უარს.

და ბოლოს: პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის საკითხის განხილვისას, ბარემ იმ პირთა დევნის გამკაცრებაც მოითხოვა, რომლებიც ნარკოტიკებს ავრცელებენ.

სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ისიც აღმოაჩინა, რომ საქართველოში არსებული ჯანსაღი ცხოვრების წესი ღრმა სიბერემდე სიცოცხლის სრულ საფუძველს იძლევა.

ჩაეთვლება თუ არა ხელისუფლებას პენსიების დარიგება ამომრჩევლის მოსყიდვად?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თავად უპასუხა: **"არჩევნების საკითხი ხალხში უნდა წყდებოდეს!"**

საგრძნობი გამოცოცხლება დარბაზს მაშინაც დაეტყო, როცა სიტყვა ჩამოვარდა დეპუტატობის კანდიდატების ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. საარჩევნო ცვლილებებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის, გიგი წერეთლის განცხადებით, საამისოდ ორი ვარიანტი არსებობდა. უფლებამოსილების ცნობამდე დეპუტატებს ნარკოლოგიური დისპანსერიდან ცნობა წარმოედგინათ, რომ იქ აღრიცხვაზე არ იმყოფებოდნენ, ან ხელახლა გაევლოთ შემოწმებმა. გრიგალაშვილის თქმისა არ იყოს, გადაწყდა, რომ **"ნარკომანებს ფეხქვეშ მიწა უნდა ეწოდეთ"** და ბოლოს უპირატესობა, მომავალი დეპუტატების სპეციალური კომისიის მიერ შემოწმებას მიენიჭა.

ყველაზე მეტი დეპუტატებმა იმ საკითხზე იდავეს, რომელიც წესით, სხდომის დღის წესრიგში არც უნდა ყოფილიყო. პრეზიდენტის საპალამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა "სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების პროექტი წარმოადგინა," რომლის მიხედვით, ამომრჩევლის მოსყიდვა ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით ისჯება. გარკვეული სასჯელია გათვალისწინებული, ასევე, ამომრჩეველზე ზემოქმედებისთვისაც. **"ეს ოპოზიციაზე ზემოქმედების კიდევ ერთი საშუალებაა,"** - დაასკვნა "დემოკრატმა" გიორგი ბარამიძემ. მისთვის აშკარად გაუგებარი დარჩა, თუ რატომ უნდა ჩათვლიყო ამომრჩევლის მოსყიდვად მათი პარტიის მიერ ბოლო დროს გამართული შაბათობები და როგორ უნდა ლიმიტირებულიყო თუნდაც ზურაბ ჟვანიას მიერ სხვისთვის დათხნა-დაბარვის გრაფიკი.

"ხელისუფლებას დაახლოებით ორი თვეა, რაც ხელფას-პენსიები არ დაურიგებია და ახლა აგვისტოში მათი ჩამორიგება დაიწყო. ჩაითვლება თუ არა ეს ამომრჩევლის მოსყიდვად?" - იკითხა "ნაციონალმა" ნოდარ გრიგალაშვილმა. **"ამომრჩევლის არჩევანი ხომ დაფარულია, როგორ უნდა გაირკვეს, მასზე ზემოქმედების ამბავი?"**-უკვირდა გუშინ "ნაციონალების" საპარლამენტო ლიდერ კოტე კემულარიასაც ...

საბოლოოდ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გოჩა პაიჭაძის განმარტებით, კანონპროექტი კანონის დარღვევით შევიდა დღის წესრიგში, რადგან იურიდიულ საკითხთა კომიტეტს მასზე არ უმსჯელია და არც დასკვნა მოუმზადებია. დებატები გუშინ აღარ გაგრძელდა. სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე ჯერ იურიდიულმა კომიტეტმა უნდა იმსჯელოს.

სახელისუფლებო ბლოკი პრეზიდენტის მედიატაქტიურ გადაწყვეტილებას ელოდება

კვოტების განაწილების საკითხი სახელისუფლებო ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" ვერც გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა. ბლოკის ლიდერები იმედოვნებენ, რომ ამ შემთხვევაში მედიატორის როლს პრეზიდენტი შეავარდნაძე შეასრულებს, ანუ საბოლოო გადაწყვეტილებას ის მიიღებს. გუშინდელ სხდომაზე ბლოკმა სოციოლოგიური კვლევის შედეგებიც განიხილა და კანცელარია იმედიანი განწყობილებით დატოვა: "ახალი საქართველოსთვის" ლიდერები დარწმუნებულნი არიან, რომ ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვებენ.

კორუფცია და მოყიყინე ბაყაყები

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲔᲚᲐᲫᲔ

უცხოელი ექსპერტები საქართველოში კორუფციის მასშტაბებზე დიპლომატიური ეტიკეტის გარეშე საუბრობენ.

ᲔᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲠᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

როგორია კორუფციისადმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულება? ობიექტური პასუხის მისაღებად ანტიკორუფციულმა ორგანიზაციამ - "საერთაშორისო გამჭვირვალობა" (TI), "გელაპის" სოციოლოგიის ცნობილი საერთაშორისო ინსტიტუტის მეშვეობით ჩაატარა გლობალური გამოკითხვა და შედეგებიც გამოაქვეყნა. ბუნებრივია, იმ 47 ქვეყანას შორის, სადაც გამოკვლევა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ჩვენთვის საქართველოს მდგომარეობაა საინტერესო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველები უკიდურესად პესიმისტურად აფასებენ კორუფციისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას. ჩვენ ხომ ხან კორუფციის ჭაობსა და მასში მოყიყინე ბაყაყებს ვამსგავსებთ საკუთარ თავს, ხან ერთადერთ მოყვავილე, გახარებულ და ნაყოფიერ მცენარეს ვადარებთ კორუფციას "ამ დაცემულ ქვეყანაში". საქართველო სამხრეთ აფრიკის, დომინიკის რესპუბლიკის, კამერუნისა და ინდოეთის შემდეგ მეხუთე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, სადაც მიაჩნიათ, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში კორუფციის დონე "მკვეთრად გაიზრდება." ქართველებს, ასევე, მიაჩნიათ, რომ კორუფცია სერიოზულად ავნებს პოლიტიკურ ცხოვრებას (75,3 პროცენტი) და საზოგადოების ფასეულობებსა და კულტურას (67,2 პროცენტი). სამაგიეროდ, ამ თვალსაზრისით, პირადი ცხოვრების (37,1 პროცენტი) და საქმიანი ურთიერთობების მაჩვენებლები (31,8 პროცენტი) უფრო დაბალია. გამოდის, რომ ცხოვრების ამ ასპექტებში ქართველები ნაკლებად გრძნობენ კორუფციის გავლენას და სწორედ აქაა დამარხული ძაღლის თავი. ჩვენ კვლავ წარმოსახვით სამყაროში და სხვისი ხელით შექმნილი კეთილდღეობით ცხოვრება გვირჩევნია.

გაირკვა ისიც, რომ ქართული საზოგადოება, მის ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, უპირველესად სამედიცინო მომსახურების სფეროში (19,7 პროცენტი) აღმოფხვრიდა კორუფციას. შემდეგ – სასამართლოებში (18,1 პროცენტი) და პოლიციაში (13,4 პროცენტი). ეს მაჩვენებლები, ძირითადად, დანარჩენი "წყალწაღებული" ქვეყნების მაჩვენებლებს ეხმაურება. მაგრამ, სხვა ქვეყნებიდან მიღებული მონაცემებისაგან განსხვავებით, სადაც კორუფციის აღმოფხვრის უპირველეს ინსტიტუტად პოლიტიკური პარტიები მიიჩნევა, საქართველოში ეს ინსტიტუტი მხოლოდ მეოთხე ადგილზეა (12,4 პროცენტი).

"მთელი მსოფლიო საკამოდ კონკრეტულ მიმართვას უგზავნის პოლიტიკურ ლიდერებს: მათ თავიდან მოუწევთ რიგითი მოქალაქეების ნდობის მოპოვება, – განაცხადა TI-ს თავმჯდომარემ, პიტერ ეიგენმა, - **TI მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს პოლიტიკურ პარტიებთან - მოუწოდებს მათ, გამჭვირვალედ აწარმოონ თავიანთი საარჩევნო კამპანიების ფინანსები და მიმართავს არჩეულ პოლიტიკოსებს, რეალურად შეასრულონ კორუფციასთან ბრძოლის წინასაარჩევნო დაპირებები. დადგა დრო, რომ განვითარებულმა და განვითარებადმა მსოფლიომაც აღიაროს კორუფციის არსებობა პოლიტიკურ ელიტაში და ინტერესთა კონფლიქტისა თუ პოლიტიკური იმუნიტეტის შეზღუდვის აუცილებლობა."**

TI-ს ყოველწლიურ "კორუფციის აღქმის ინდექსში" (CPI) ქვეყნებს სახელმწიფო მოხელეებსა და პოლიტიკოსებს შორის კორუფციის გავრცელების ხარისხის მიხედვით ენიჭებათ ადგილი. საქართველო 102 ქვეყანას შორის 85-ე აღმოჩნდა, რაც კორუფციის განსაკუთრებით მაღალ დონეზე მიუ

პანკისში ბლოკ-პოსტების შემცირება ნაადრევია

"პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარების ბლოკ-პოსტების შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში, რაც უშუალო კავშირში იქნება საქართველო-რუსეთის საზღვარზე უღელტეხილების ბუნებრივ ჩაკეტვასთან, - აცხადებს საქართველოს შსს-ს შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი შერვაშიძე, - ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, მთლიანად გამოირიცხოს ბოევიკების მიერ საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა". შერვაშიძემ ასევე აღნიშნა, რომ პანკისის ხეობაში განლაგებული ბლოკ-პოსტები შსს-ს და უშიშროებას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებაში ეხმარება.

გიორგი შერვაშიძე პანკისის ხეობაში არსებულ სიტუაციას საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადს უწოდებს. "ამაში დიდ როლს თამაშობს ადგილობრივი ქისტი მოსახლეობა, რომელთა ნაწილი შინაგანი ჯარების შტატშია ჩარიცხული და ბლოკ-პოსტებზე მსახურობს," - თქვა სარდალმა.

პრაიმ-ნიუსი

გერმანელი და ამერიკელი მრჩევლები საზღვარზე არსებულ სიტუაციას შეისწავლიან

საქართველოში მყოფი ამერიკელი და გერმანელი მრჩევლები, რომლებიც ქართული სასაზღვრო სტრუქტურის რეფორმირების რეკომენდაციებზე მუშაობენ, უახლოეს მომავალში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მთელ პერიმეტრზე არსებულ სიტუაციას შეისწავლიან.

რეფორმების გეგმის მიხედვით, საფუძვლად აღებული იქნება გერმანიის სასაზღვრო პოლიციის მოდელი და ხუთი წლის განმავლობაში ქართული გასამხედროებული სტრუქტურა პოლიციურად გადაკეთდება.

პარალელურად, საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტს დახმარებას სთავაზობს აშშ, რომელმაც ამ მიზნით მიმდინარე წელს 17,5 მილიონი დოლარი გამოყო. ივლისში, თბილისში თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ აშშ-ის მრჩეველი სახმელეთო საზღვრის დაცვის საკითხებში რიჩარდ მორისი და საქართველოში გერმანიის სასაზღვრო პოლიციის მუდმივი წარმომადგენელი, მეკავშირე ოფიცერი ნორბერტ იაკატი.

სასაზღვრო უწყებაში აღნიშნავენ, რომ რეფორმა, რომელიც 2007 წლისთვის უნდა დასრულდეს, ორივე ქვეყნის რეკომენდაციებით წარიმართება. ამასთანავე, გათვალისწინებულია გერმანელი და ამერიკელი მრჩევლების მუშაობის გაერთიანება, რომლებიც მანამდე თავის ფუნქციებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ასრულებდნენ.

აშშ-ში ცალკე ამუშავებენ წინადადებებს ქართული სანაპირო დაცვის სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით, რა მიზნითაც საქართველოში იმყოფება აშშ-ის სანაპირო დაცვის ძალების მუდმივი წარმომადგენელი ჯონ ტრამბოლი.

სექტემბერში იგეგმება აშშ-ის სანაპირო დაცვის ძალების სარდლის ვიზიტი თბილისში, რომელიც პირადად გაეცნობა რეფორმების და აშშ-ს რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას.

პრაიმ-ნიუსი

პანკისის ხეობაში ვითარება გამწვავდა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბაბო ბელაგეციშვილის ფოტო

მთვრალთა აყალ-მაყალი მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ულტიმატუმი წაუყენეს ორსაათიანი აყალმაყალისა და ცემა-ტყეპის შემდეგ ქისტებმა ჩეჩენ ლტოლვილებს.

ჩვენი ინფორმაციით, ინციდენტის დროს არც ერთ მხარეს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებია. ხელჩართული ომი სროლის გარეშე იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ ამის შესახებ არც ადგილობრივ პოლიციას და არც ბლოკ-საგუშაგოებზე განლაგებულ შინაგან ჯარს გაუგია რამე. საქმე ისაა, რომ დაპირისპირებული მხარეები არც აპირებენ საქმეში სამართალდამცველთა ჩარევას.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში დასისხლიანებული ჩეჩნები და ქისტები თავადვე შეეცადნენ სიტუაციის განმუხტვას. გუშინ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში ქისტი და ჩეჩენი "ავტორიტეტები" და ხეობის უხუცესები მომხდარ ინციდენტს ერთმანეთში არჩევდნენ და გარიგება-შერიგებას ცდილობდნენ, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ჩეჩნებზე განაწყენებული ქისტები უკან დახევას არ აპირებენ და სერიოზული ანგარიშსწორებისთვის ემზადებიან.

როგორ დასრულდება აქამდე ერთად მშვიდად მცხოვრები მხარეების დაპირისპირება, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ პანკისის ხეობაში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია.

"მიუხედავად იმისა, რომ აქაური "ავტორიტეტები" და უხუცესები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მომხდარი ინციდენტი არ გადაიზარდოს სერიოზულ სისხლისღვრაში, შეთანხმების მიღწევა მხარეებს შორის ჯერჯერობით ვერ ხერხდება," - ასეთია ერთ-ერთი წყაროს ინფორმაცია.

რაც შეეხება რუსლან გელაევის ძმას, ჩვენი ინფორმაციით, ის პანკისის ხეობაში ჩასვლის დღიდან, საკუთარ ოჯახთან ერთად, ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს და მასთან არც არასდროს ჰქონია ვინმეს პრეტენზია. **"სალმან გელაევი პატიოსანი კაცია. მას იარაღი არასდროს სჭერია ხელში, არც ძმის დაჯგუფებაში ყოფილა ოდესმე და არც ავტომატით ურბენია აქეთ-იქეთ. მას იარაღით ჩეჩენეთშიც არ უბრძოლია,"** - ასე ახასიათებს პანკისის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობა რუსლან გელაევის ძმას.

როგორ განვითარდება მოვლენები პანკისის ხეობაში, შეასრულებენ ჩეჩენი ლტოლვილები ადგილობრივ ქისტთა კატეგორიულ მოთხოვნას, თუ ხეობელი ავტორიტეტები და უხუცესები მშვიდად მოაგვარებენ და დააწყნარებენ გართულებულ სიტუაციას, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. თუმცა, მომხდარ ინციდენტს სამართალდამცველები ძალზე სერიოზულ ფაქტად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ქისტებსა და ჩეჩნებს შორის მომხდარ დაპირისპირებას, შესაძლოა, სკანდალური პოლიტიკური გაგრძელება მოჰყვეს. არც ისაა გამორიცხული, რომ თვეების წინ ხეობიდან ხმაურის გარეშე გასული გელაევი და მისი რაზმი გუშინდელმა არეულობამ უკან მოაბრუნოს, მით უმეტეს, რომ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ჩეჩენი საველე მეთაური ძმის ბედით უკვე დაინტერესებულა.

საპროტესტო აქცია შაშიაშვილის წინააღმდეგ

ᲑᲔᲥᲐ ᲡᲘᲡᲐᲣᲠᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

"შაშიაშვილი - ქუთაისის პილატე" – მსგავსი შინაარსის ლოზუნგით შეიარაღებული 100-მდე პენსიონერი გუშინ ქუთაისის მერიას მიადგა და კუთვნილი პენსიების დროული გაცემა მოითხოვა.

პენსიონერების ნაწილი მერიასთან საღამომდე "პატრულირებდა". საბოლოოდ მათ ქუთაისის მერის მოადგილე თემურ იოსებაშვილი შეხვდა და თბილისიდან ორი თვის პენსიის შესაძლო გადმორიცხვის ამბავი ამცნო.

პენსიონერების მეორე ძირითადი მოთხოვნა მათი ლიდერის, "სოციალურად და სამართლებრივად დაუცველთა კავშირის" თავმჯდომარის, გელა ხუნდაძის პატიმრობიდან განთავისუფლება გახლდათ. ხუნდაძე რამდენიმე თვის მანძილზე ქუთაისის ცენტრალური ბაღის ტერიტორიაზე ყოველ ორშაბათს მიტინგს მართავდა და იმერეთის გუბერნატორს უმძიმეს ბრალდებებს უყენებდა. ორი კვირის წინ გელა ხუნდაძე იმერეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ დააკავა. მას 1993 წელს ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკიდან გატანილი 30 ტონა შავი ბაიხის ჩაის ღირებულების მითვისებაში ედავებიან. საინტერესო ისაა, რომ 1993 წლიდან 10 წელი გავიდა და ხუნდაძის თაღლითობა ქუთაისელ სამართალდამცველებს ახლა გაახსენდათ. "სოციალურად და სამართლებრივად დაუცველთა კავშირის" თავმჯდომარის დანაშაულში ასე დაგვიანებით მხილებას პოლიცია მომჩივანის არარსებობით ხსნის. ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკის დირექტორს ხუნდაძეზე საჩივარი ახლახან შეუტანია. მანამდე მათ შორის დავა, სამოქალაქო წესით, სასამართლოში მიმდინარეობდა. გელა ხუნდაძე თავს პოლიტპატიმარს უწოდებს, შაშიაშვილს კი – მისი დაკავების ორგანიზატორს და, პატიმრობიდან გათავისუფლებას დაუყოვნებლივ მოითხოვს. მიუხედავად მოთხოვნებისა, ქუთაისის საოლქო სასამართლომ მის მიმართ სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ბრძანება უცვლელად დატოვა.

ორი სიტყვით

თბილისი. უშიშროების ყოფილ მინისტრს 1995 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმისათვის ინტერპოლის მიერ ძებნილ იგორ გიორგაძეს სამშობლოში დაბრუნება სურს და, ხელშეუხებლობის გარანტიების მიღების შემთხვევაში, მზადაა, გამოძიებას ჩვენებები მისცეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის ტერიტორიიდან ბენზინისა და უკანონო ტვირთების შემოსვლის აღკვეთის ოპერაციებში აგვისტოს დასაწყისიდან ჩაერთნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გალის რაიგანყოფილების თანამშრომლები და უშიშროების სამსახურის სწრაფი რეაგირების შენაერთის მეორე და მესამე ასეულის მებრძოლები. გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოლო ერთი კვირის განმავლობაში აფხაზეთში არ შემოსულა არც ერთი ბენზინმზიდი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შსს-ს, უშიშროების სამინისტროს და გენერალური პროკურატურის პირველი პირები პირადად გააკონტროლებენ რუსეთის საელჩოს პირველ მდივანზე ალექსანდრე ვოლუხინზე ორშაბათს ღამით განხორციელებული თავდასხმის საქმის მსვლელობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ედუარდ შევარდნაძემ იმ პირთა დასჯის გამკაცრება მოითხოვა, ვინც ნარკოტიკებს ავრცელებს. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ შეძრწუნდა, როდესაც საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, ნარკომანების რაოდენობის სტატისტიკურ მონაცემებს გაეცნო. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში ოფიციალურად, დაახლოებით, 200 ათასი ნარკომანია რეგისტრირებული, თუმცა რეალურად მათი რიცხვი გაცილებით მეტია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის სამ საშტატო ერთეულზე იუსტიციის საბჭომ კონკურსი გამოაცხადა. მსურველთა განცხადებებს იუსტიციის საბჭო 13 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით მიიღებს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ იმ პირებს, ვისაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდა. იუსტიციის საბჭო შერჩეულ კანდიდატებს დასამტკიცებლად პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს წარუდგენს. **მედია-ნიუსი**

ERNST & YOUNG

თიბისი ბანკი TBC Bank

■ Ernst & Young (CIS) Limited
Podsosensky Pereulok 20/12
Moscow 103062 Russia
Phone: 7 (095) 705 92 92
Fax: 7 (095) 705 92 93

■ Эрнст энд Янг (СНГ) Лимитед
Россия, 103062 Москва
Подсосенский переулок, 20/12
Телефон: 7 (095) 705 92 92
Факс: 7 (095) 705 92 93
ОКПО 40128555

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის" აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის" ("ბანკის") თანდართული საბალანსო ანგარიშების აუდიტი 2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე და გავცეთ დასკვნა. 2001 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2002 წლის 18 თებერვალს გასცა დადებითი დასკვნა ზემოთაღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, მოიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით ცბუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული პრინციპებისა და მნიშვნელოვანი დაშვებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი იძლევა გონივრულ საფუძველს დასკვნის გასაცემად.

ჩვენი აზრით, ზემოთ მითითებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარია და სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2003 წლის 17 თებერვალი Ernst & Young (CIS) Limited

საბალანსო ანგარიშგებები
2002 და 2001 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას დოლარში)

	2002	2001
აქტივები		
სალარო ფული და ბანკში განთავსებული თანხები	36,358	17,865
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	33,178	15,444
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		
- გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები	2,942	6,385
- ვადის განმავლობაში შენარჩუნებული ფასიანი ქაღალდები	3,643	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	101,166	72,503
საგადასახადო აქტივი	33	-
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	675	336
მატერიალური მოძრავი საშუალებები	8,408	4,553
არამატერიალური აქტივები	344	331
სხვა აქტივები	1,321	1,423
სულ აქტივები	188,068	118,820
ვალდებულებები		
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებები	20,620	25,849
კლიენტების მიმართ ვალდებულებები	135,524	70,098
საგადასახადო ვალდებულება	788	413
ანარიცხები	525	259
სხვა ვალდებულებები	2,265	1,259
სულ ვალდებულებები	157,722	97,878
აქციონერთა კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	5,000	5,000
აქციებზე გადახდილი პრემია	2,298	2,298
გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები	23,048	13,544
სულ აქციონერთა კაპიტალი	30,346	20,842
სულ ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი	188,068	118,820
მომავალი ფრინველის გაყიდვები და პირობითი ვალდებულებები	18,230	6,634

ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად წარდგენილი დირექტორთა საბჭოს მიერ

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2003 წლის 17 თებერვალი

მოგება - ზარალის ანგარიშგებები
2002 და 2001 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის
(ათას დოლარში)

	2002	2001
საპროცენტო შემოსავალი		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	20,303	16,769
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,616	1,016
სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები	1,785	15
	23,704	17,800
საპროცენტო ხარჯი		
კლიენტების მიმართ ვალდებულებები	5,640	3,243
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებები	1,584	1,642
	7,224	4,885
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	16,480	12,915
ხარჯი საეჭვო ვალების რეზერვზე	2,282	3,644
	14,198	9,271
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	7,274	5,411
გაცემული გასამრჯელო და საკომისიო	1,036	591
გასამრჯელო და საკომისიო, წმინდა	6,238	4,820
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული მოგება, წმინდა	2,111	1,708
საკუთარი ცვლილებით გამოწვეული მოგება (ზარალი), წმინდა	(177)	2
ფასიანი ქაღალდების ვადა – გადაცემამდე მიღებული მოგება, წმინდა	917	-
დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	201	86
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,377	822
არასაპროცენტო შემოსავალი	4,429	2,618
შეფასებული საეჭვოებიდან მიღებული ხარჯი	275	207
ხელფასები და თანამშრომლების მიმართ მიღებული სხვა ხარჯები	6,431	4,126
ადმინისტრაციული ხარჯები	4,315	3,453
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	935	573
ხარჯი (შემოსავალი) სხვა ანარიცხებზე	(272)	1,364
სხვა საოპერაციო ხარჯი	371	928
არასაპროცენტო ხარჯები	11,780	10,244
დასაბეგრი მოგება	12,830	6,258
მოგების გადასახადი	2,306	1,760
წმინდა მოგება	10,504	4,498







— ორი სიტყვით —

მოსკოვი გამოდის ინიციატივით, რომ ჩრდილოეთ კორეის პრობლემის გადასაჭრელად დაიდოს საერთაშორისო პაქტი, რომლითაც ეს ქვეყანა უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებს. პაქტი შეიძლება იყოს ოთხმხრივი (ჩრდილოეთ კორეა, აშშ, ჩინეთი, რუსეთი) ან ექვსმხრივი (ოთხეულს დამატებული იაპონია და სამხრეთ კორეა).

მოლაპარაკებები ექვს სახელმწიფოს შორის პეკინში 27 აგვისტოს უნდა დაიწყოს, იქამდე დიპლომატები წინასწარ კონსულტაციებს აწარმოებენ.

■ ■ ■

ანტვერპენის პორტში, რომელიც სიდიდით მეორეა ევროპაში, ორი გემი შეეჯახა ერთმანეთს. ორივე ავტომობილებითაა დატვირთული. ავარია მაშინ მოხდა, როდესაც ერთი ხომალდი პორტში შედიოდა, ხოლო მეორე ღია ზღვაში გადიოდა. მსხვერპლი არ არის. შეჯახების შედეგად პორტი რამდენიმე საათით ბლოკირებული აღმოჩნდა.

■ ■ ■

ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და ერთი დაიჭრა გუშინ ერაყში მომხდარი თავდასხმის შედეგად. სამხედრო კოლონას ხელყუმბარები სადამის მშობლიურ ქალაქ ტიკრიტში დაუშინეს. სულ, ომის დასრულებიდან, ერაყელმა მებრძოლებმა 58 ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს.

■ ■ ■

"გაზპრომი" "ლიტვის გაზის" ხელში ჩაგდებას ცდილობს. რუსული კომპანიის განცხადებით, ისინი მზად არიან, ლიტვური ფირმის აქციების ნაწილში 91 მილიონი ლიტი (30 მილიონი დოლარი) გადაიხადონ. ადრე ისინი მხოლოდ 80-ს იძლეოდნენ. ლიტვის გაზის აქციების მოზრდილ პაკეტს გერმანული "რურგაზი" და "ეონ ენერგი" ფლობენ. გაზპრომი, ამავდროულად, ლიტვისათვის გაზის ერთადერთი იმპორტიორია.

■ ■ ■

30-მდე კაცი დაიღუპა გუშინ ავღანეთში მომხდარი ორი ინციდენტის დროს. 15 ადამიანი, მათ შორის ქალი და ექვსი ბავშვი, ავტობუსში დამონტაჟებული ბომბის აფეთქების მსხვერპლი გახდა. გუშინვე ხელისუფლებამ განაცხადა, რომ პაკისტანის საზღვრის სიახლოვეს ტალიბანისა და ალ-ქაიდას 13 მებრძოლი გაანადგურა.

სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელმა გაფარმა განაცხადა, რომ მის ქვედანაყოფს ტალიბების მიერ ორგანიზებული მსხვილი იერიშის მოგერიება მოუწია. ტალიბები, აქამდე, ჩვეულებრივ, ერთიორი ბომბის სროლით კმაყოფილდებოდნენ, ამჯერად კი მთელი სამხედრო ოპერაცია განახორციელეს. სამთავრობო ჯარებმა შეტევის მოგერიება შეძლეს და რამდენიმე არაბი მებრძოლი ტყვედაც ჩაიგდეს.

■ ■ ■

ორი დღის წინ, მილანში შიზოფრენიკმა პაციენტმა საკუთარი ექიმი მოკლა. ავადმყოფი ფსიქიატრს ქუჩაში ჩაუსაფრდა და დანა დაარტყა. პაციენტი, სახელად არტურო გეფროი, რამდენიმე წლის წინ ექიმი იყო და ბრწყინვალე ფსიქიატრადაც ითვლებოდა. მაგრამ, მასზე ისე იმოქმედა ერთ-ერთი პაციენტის ისტორიამ, რომ თავადაც შიზოფრენია დაეწყო. მოკლული ექიმის ქვრივის თქმით, გეფროი ურთულესი პაციენტი იყო, რადგან ყველა ფსიქიატრიული ხერხი იცოდა, მაგრამ იმდენად იყო დევნის მანიითა და ნარცისიზმით შეპყრობილი, რომ თავის ავადმყოფობას არაფრით აღიარებდა.

■ ■ ■

კასპიის ზღვაზე აზერბაიჯან-ულ-ამერიკული ერთობლივი სამხედრო წრთვნები დაიწყო, – განაცხადა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა, საფარ აბიევმა. "წრთვნების მიზანს წარმოადგენს ჩვენი ნავთობსაბადოების დაცვა ტერორისტებისაგან და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან," – დასძინა მან. უახლოეს მომავალში იგი აშშ-ში აპირებს გამგზავრებას ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის განხილვის მიზნით.

■ ■ ■

თბილისი. დიდ დიღომში ბოლო 10 დღის განმავლობაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები გუშინწინ დასრულდა, თუმცა ღიად დარჩენილი უძველესი ნასახლარები დაუფინანსებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, განადგურდეს. ექსპედიციის წევრებმა წერილობით უკვე მიმართეს პრეზიდენტ შევარდნაძეს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნასახლარების გადახურვის მიზნით გამოუყოს შესაბამისი თანხები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისში. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი“ თბილისის საცდელ პროექტს ახორციელებს. ამჟამად ამ პროექტის ფარგლებში სიონის, ბამბის რიგისა და რკინის რიგის ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. დაგეგმილია იქ არსებული ნაგებობებისა და ფასადების კეთილმოწყობა, ქუჩის საფარების გამოცვლა და გარე განათების დამონტაჟება. თბილისის საცდელ პროექტს მსოფლიო ბანკი აფინანსებს. სამივე ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები შემოდგომაზე დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სააქციო საზოგადოება „თბილქალაქგანათება“ დედაქალაქში ბოლო ათიოდე დღის განმავლობაში 350-მდე გარეგამანათებელი აღადგინა. „თბილქალაქგანათების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლადო კვიჭიძის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკში უკვე წარდგენილია შესაბამისი პროგრამა დედაქალაქის აეროპორტისკენ მიმავალ ცენტრალურ მაგისტრალზე 1500-მდე გარეგამანათებლის რეკონსტრუქციის შესახებ. **მედია-ნიუსი**

ირანში რეფორმები დაბლოკეს

რევაზ ბახტაძე

კონსერვატორებთან ჭიდილში ხათამი მარცხდება. REUTERS

ირანის უმაღლესმა მმართველმა ორგანომ, რევოლუციის მცველთა საბჭომ, პარლამენტის მიერ დამტკიცებული ორი კანონი უკუაგდო. ეს რეფორმატორი პრეზიდენტის მოჰამად ხათამისათვის დიდი დარტყმაა.

ირანის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს "ირნას" ცნობით, მცველთა საბჭომ, სადაც 12 კონსერვატორი კლერიკალი შედის, ორი კანონი კონსტიტუციასთან შეუთავსებლობისა და ისლამურ კანონთან – შარიათთან - არსებული წინააღმდეგობის გამო უარყო.

რევოლუციის მცველთა საბჭოს მიერ უარყოფილი ერთი კანონი საარჩევნო პროცედურას შეეხებოდა, რომლის თანახმად, მცველთა საბჭოს კანდიდატების არჩევნებიდან გამოთიშვის უფლება ერთმეოდა. რაც შეეხება მეორე კანონს, ის გაერო-ს კონვენციის რატიფიკაცია იყო ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

ირანის აღნიშნულ კონვენციასთან მიერთებამ კონსერვატორების აღშფოთება გამოიწვია. ზოგიერთებმა ისიც კი განაცხადეს, რომ ეს კოლონიზატორების კანონი იყო. მართალია, ბევრ ისლამურ ქვეყანასთან შედარებით ირანში ქალთა უფლებები დაცულია, მაგრამ მათზე ჯერ კიდევ ბევრი შეზღუდვა ვრცელდება.

სამშაბათს პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ საჯარო გამოსვლისას აღიარა, რომ მისი ექვსწლიანი პრეზიდენტობისას რეფორმატორული პროგრამა ვერ შეასრულა. ხათამიმ კლერიკალები გააფრთხილა, რომ ხელისუფლებისაგან ახალგაზრდობის გაუცხოება ქვეყანას მომავალში დიდ პრობლემებს შეუქმნის.

კონსერვატორებთან ჭიდილში დამარცხების გამო, ხათამის პოპულარობა შემცირდა და უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამართული რამდენიმე მიტინგის დროს სტუდენტებმა პრეზიდენის გადადგომაც მოითხოვეს.

არჩევნების შესახებ კანონი მცველთა საბჭომ უკვე მეორეჯერ უარყო. იმ შემთხვევაში თუ მცვლეთა საბჭო და პარლამენტი ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ ეს საქმე საარბიტრაჟო დაწესებულებაში გაირჩევა, რომელიც, როგორც წესი, კონსერვატორებს უჭერს მხარს.

ხათამი ამტკიცებს, რომ ახალ საარჩევნო კანონს რეალური, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. პრეზიდენტის მხარდამჭერების თქმით, მცველთა საბჭომ საკუთარი უფლებამოსილებები რეფორმატორი კანდიდატების საარჩევნო პროცესიდან გამოსარიცხად არაერთხელ გამოიყენა. ისინი შიშობენ, რომ კონსერვატორები მომავალი წლის მარტში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იმავეს მოიმოქმედებენ.

მცველთა საბჭო კი ამტკიცებს, რომ ის მხოლოდ იმ კანდიდატებს ბლოკავს, რომლებიც "ანტირევოლუციურები" არიან ან წარსულში სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ.

კონსერვატორებს თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად ის ფაქტი მოჰყავთ, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებში რეფორმატორებმა გაიმარჯვეს.

მცველთა საბჭომ მთელ ქვეყანაში უკვე გახსნა ოფისები, რათა პოტენციური კანდიდატების გამოსვლებს თვალყური ადევნონ. რეფორმატორებმა მცველთა საბჭოს ამ წარმომადგენლობებს უკანონო უწოდეს და მათი დახურვა მოითხოვეს. თუმცა, ამ მოთხოვნებს, ჯერჯერობით, არანაირი შედეგი არ გამოუღია.

წერილი ბაღდადიდან

პირველი გვერდიდან

აბა, მოუსმინეთ ბრემერს ელექტროენერგიის მოწოდების გაუმჯობესების შესახებ, როდესაც ბასრა აჯანყებულია. თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ბასრაში მიმდინარე ამბები ვნახე. მგონი, იმიტომ არ მოუციათ მთელი დღე დენი, რომ ბასრაში ხალხის დამშვიდება უნდათ. ორდღიანი ამბოხება და დაჭრილი რვა ერაყელი. კიდევ კარგი, კოალიციის ძალები ამბოხებულებს "სადამის მომხრეებს" არ უწოდებენ, კიდევ კარგი, ზოგიერთები მაინც აცნობიერებენ, რომ ხალხი გაღიზიანებულია იმ მეთოდებით, რომლითაც საოკუპაციო ძალები ქვეყანას მართავენ. ვითარება კი კონტროლიდან გამოდის. ბაღდადი, ბასრა, ნასირია მალე იმ ქალაქების სიაში ჩაეწერებიან, სადაც კონტროლი აღარ არსებობს.

მე იმ პრესკონფერენციას დავესწარი, სადაც ჩვენი ახალი, ერთთვიანი პრეზიდენტი (დროებით მთავრობაში თავმჯდომარე როტაციული წესით იცვლება) გვეუბნებოდა, რისი გაკეთება შეუძლიათ. პრესის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სინქრონული თარგმანი მიმდინარეობდა: ერთ არხზე არაბულად, მეორეზე - ინგლისურად. მე მესამე არხსაც დავამატებდი: სიმართლის არხს. მასზე მხოლოდ ერთი ფრაზა ტრიალებს: "ჩვენ არანაირი ძალაუფლება არ გვაქვს, ყველაფერზე თანხმობა ამერიკელებმა უნდა მოგვცენ, ჩვენ მარიონეტები ვართ და ძაფები ძალიან მტკიცედაა მოჭერილი". მე საბჭოში შემავალი ბიჭები მეცოდებიან, ზოგიერთები მართლა კარგები და პატიოსნები არიან და ისინი ძალზე რთულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

საერთოდ, ამ პრეს-აჯაფსანდალში მოხვედრა ცალკე ამბავია. სულ მცირე, ერთი საათით ადრე უნდა მიხვიდე, შემდეგ ათასჯერ მაინც გაგჩხრეკენ და, რასაკვირველია, როგორც ერაყელს, ეშმაკივით გეპყრობიან. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არიან შესასვლელში მდგომი ამერიკელი ჯარისკაცები ასეთი უხეშები ერაყელების მიმართ, როდესაც მათ შეუძლიათ საოცრად ზრდილობიანები იყვნენ ნებისმიერთან, ვისაც კი უცხოური პასპორტი აქვს. შესასვლელში დაკითხვისას ბუდას მოთმინებით აღჭურვა მიწევს ხოლმე. გაზეთ "ერაყი დღეს" ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე არ დაუშვეს და ისინი ატომური ბომბებივით აფეთქდნენ. "ეს ჩემი დამპალი მთავრობაა, რას ნიშნავს შესვლა არ შეიძლება?" ასე მგონია, მე ვლაპარაკობ პირდაპირ. დაიმახსოვრეთ ეს კადრი: ამერიკელი ოფიცერი შენ, ერაყელს შენი მთავრობისავე პრესკონფერენციაზე არ გიშვებს.

დილით ჩემი მანქანა პოლკოვნიკმა თუ ვიღაცამ გაჩხრიკა (რომელმაც გვერდით ჩამიარა), რადგან მას მანქანის გვერდით მდგომი ხალხი (მე) არ მოსწონს. თანაც, მე მისთვის ცუდად შემიხედავს. ჰაბიბი (ძვირფასო), შენ წარმოდგენაც არ გაქვს, როგორ ცუდად შეიძლება შემოგხედო, მაგრამ შენ ეს არ გინახავს. რაც შენ ნახე, ერთი საათი მზის გულზე მდგარი კაცის მზერა იყო. მაგრამ, რადგან შენ "ყველაზე კარგად იცი", რას ნიშნავს ჩემი გამოხედვა, ამიტომ გამჩხრიკე. შენ მართლა ყურადღებით უნდა შეგეხედა, სანამ ცხრა წლის ბავშვს ესროდი რამადიში მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვიანებით გაგერკვია, თოფი, რომელიც მას ხელში ეჭირა, წყლის იყო. ცუდი გამოხედვა – აბა რა, სავსებით გამართლებულია ჩემს გასაჩხრეკად.

ჰო, მე გაბრაზებული ვარ, რადგან თუ საოკუპაციო ძალები ჩაისვრიან, ჩემი ქვეყანა დაიშლება. და რაღაც მიზეზის გამო, გარდამავალ ხელისუფლებას არ ეტყობა, რომ გრძნობდეს, რაოდენ სერიოზულია ვითარება.

გამოიცანით, რა შეცდომაა ამ წინადადებაში: "მე მანქანაში ვზივარ და ფალუჯაში მეგობრებთან ერთად მივდივარ, კონდიციონერი კი სუპერ-გაყინვაზე მაქვს ჩართული".

შეცდომა ამ წინადადებაში არის ის, რომ ამგვარი ვითარება სამუდამოდ ვერ გაგრძელდება. მე ფალუჯაში ჩავაღწევ და მანქანიდან გადმოსვლა მომიწევს, რეალობა კი მისგან გაქცევის მცდელობისათვის დამსჯის.

უზბეკეთში ისლამისტებს სიკვდილით სჯიან

უზბეკეთის პრეზიდენტს ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. REUTERS

მიუხედავად დასავლეთის მხრიდან არაერთი მოწოდებისა, უზბეკეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სისრულეში მოიყვანოს ახალგაზარდა ისლამისტის წინააღმდეგ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი.

ეუთო-ს თავმჯდომარემ იააპ დე ჰუპ შეფერმა და გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა პირადად სთხოვეს კარიმოს 29 წლის ისკანდარ ხუდოიბერგიევის შეწყალება, მაგრამ ამაოდ.

ხუდოიბერგიევს განაჩენი მას შემდეგ გამოუტანეს, რაც მან "უზბეკეთის ისლამური მოძრაობის" წევრობა აღიარა.

"რამდენიმე წყაროსგან შევიტყევ, რომ უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო სარჩელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მალე სიკვდილით დასჯიან," – განუცხადა როიტერს "ჰიუმენ რაიტს უოჩის" წარმომადგენელმა. მას კიდევ შეუძლია შეწყალების თხოვნით პრეზიდენტს მიმართოს, მაგრამ წარმატების შანსები პრაქტიკულად არ არსებობს.

ისკანდერის და დილობარი აცხადებს, რომ მისი ძმა უდანაშაულოა. "ერთადერთი, რაშიც მას ბრალი მიუძღვის, მეჩეთში სიარული და ლოცვაა, – ამბობს იგი, – იგი მორწმუნეა, და არა ტერორისტი".

დილობარის თქმით, მისი ძმა ელექტროშოკის დახმარებით აიძულეს, რომ ტერორისტობა ელიარებინა. მილიციელებმა სასტიკად აწამეს ისკანდერის ძმა და მამაც, რომელიც სახლში ინფარქტგადატანილი დაბრუნდა.

გაერო აცხადებს, რომ უზბეკეთის ციხეებში წამება ჩვეულებრივი ამბავია. დაფიქსირებულია ადამიანთა ცოცხლად მოხარშვის რამდენიმე შემთხვევა. წამებით მოკლულებს გარდაცვალების ცნობაში უწერენ: "დაიღუპა ბუნებრივი მიზეზებით".

ხელისუფლებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივმა ზეწოლამ შედეგი არ გამოიღო. კარიმოვმა სიტყვიერადაც კი არ დაგმო წამების ფაქტები.

ყველაზე სასტიკად უზბეკეთის ხელისუფლება ისლამიზმში ეჭვმიტანილებს უსწორდება. პრეზიდენტი მასზე რამდენჯერმე განხორციელებულ თავდასხმაში სწორედ რელიგიურ ექსტრემისტებს ადანაშაულებს და სამუდამოდ მათ თავიდან მოშორებას ცდილობს.

ავსტრალიელებმა სოლომონის კუნძულებზე წესრიგი დაამყარეს

ოთხშაბათს სოლომონის კუნძულებზე ამბოხებულთა ლიდერი ჰაროლდ კეკე ავსტრალიელ ჯარისკაცებს ჩაბარდა. ავსტრალიის ხელისუფლების თქმით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდერ დაუნერის ინფორმაციით კეკე და მისი სამი თანაშემწე გუშინ ჩაბარდნენ და ისინი უკვე სოლომონის კუნძულების დედაქალაქ ჰონიარაში ჩამოიყვანეს.

"ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, - აღნიშნა დაუნერმა, - ეს ნათელი მესიჯია სხვებისათვის, რომ იარაღი დაყარონ 21 აგვისტომდე, სანამ გამოცხადებული ამნისტიის ვადა ამოიწურება".

ავსტრალია 2225 კაციან შენაერთს მეთაურობს, რომლის მთავარ მიზანს სოლომონის კუნძულებზე წესრიგის დამყარება წარმოადგენს, რათა იქ სრული ქაოსი აიცილონ თავიდან.

ავსტრალიის ინტერვენცია სოლომონის კუნძულებზე კიდევ ერთი პრეცედენტია, როდესაც ძლიერი ქვეყანა პატარა და სუსტი მეზობლის საქმეებში ერევა, რათა იქ წესრიგი დაამყაროს. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის ჯონ ჰოვარდის განცხადებით, ის ვერ დაუშვებს მეზობლად "არშემდგარი სახელმწიფოს" არსებობას, რომელიც ტერორისტებისა და ნარკობარონების თავშესაფრად იქცევა.

იტალია ჩაწოლილი საქონლით გაივსო

ბოლო სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ იტალიის ეკონომიკა რეცესიაში იმყოფება. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 0,1 პროცენტით შემცირდა. კლება მოხდა პირველ კვარტალშიც. რეცესია კი ზედიზედ ორი კვარტლის განმავლობაში ეკონომიკის უარყოფით განვითარებას ნიშნავს. მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშო ხდება იმის გამო, რომ, იტალიის გარდა, მეორე კვარტლის მაჩვენებლები ევროზონის სახელმწიფოებიდან ჯერ არც ერთს არ წარუდგენია. არადა, იტალიაზე გაცილებით უფრო უარესი შედეგებია მოსალოდნელი გერმანიისგან. საფრანგეთის ეკონომიკაში კი, საუკეთესო შემთხვევაში, ნულოვანი ზრდა თუ დაფიქსირდება.

იტალიის ჩავარდნა სიურპრიზად არავისთვის ქცეულა. ევროს კურსის გამყარება სერიოზულ პრობლემებს უქმნის ექსპორტს მთელ კონტინენტზე. ბოლო დროს საგანგაშო ვითარებაა ინვესტიციათა მოზიდვის მხრივ. სამომხმარებლო რწმენაც დაბალ მაჩვენებელზეა, რის გამოც, იგივე იტალია ჩაწოლილი საქონლით გაივსო.

ყველაზე მძიმე ვითარება ივნისში დაფიქსირდა. ამ თვეში, გასულ წელთან შედარებით, იტალიის მთლიანი შიდა პროდუქტი 2,1 პროცენტით შემცირდა, რაც ფრიად საგანგაშო მონაცემია. წლის დარჩენილ პერიოდში ვითარების რადიკალურ გამოსწორებას არ უნდა ველოდოთ.

წინასაარჩევნოდ აზერბაიჯანში მინიმალური ხელფასი და პენსია გაიზრდება

პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა (როგორც ჩანს, ამერიკის ქალაქ კლივლენდში, სადაც ის მკურნალობს) ხელი მოაწერა ბრძანებულებას 1 სექტემბრიდან მინიმალური ხელფასის 27.5 ათასი მანათიდან (5.5 აშშ დოლარი) 45 ათასამდე გაზრდის შესახებ. 2004 წლის 1 იანვრიდან კი იგეგმება ამ თანხის 60 ათას მანათამდე გაზრდა.

სახელმწიფოს მეთაურის სხვა ბრძანებულებით, მოიმატა პენსიების რაოდენობამ. მაგალითად, პენსიონერები, რომლებიც არ მუშაობენ, აგრეთვე - პირველი ჯგუფის ინვალიდები და 16 წლამდე ინვალიდი ბავშვები მიიღებენ 100 ათას მანათს (20 დოლარს).

მედია-ნიუსი

კავკასიაში ძირითადი კაპიტალის ინვესტიციები იზრდება

დსთ-ს სტატისტიკურ კომიტეტზე დაყრდნობით, აზერბაიჯანული სააგენტო „ტრენდი“ იუწყება, რომ 2003 წლის პირველ ნახევარში აზერბაიჯანი პირველ ადგილზე იყო ძირითად კაპიტალზე ინვესტიციების ზრდის მაჩვენებლით.

ამ პერიოდში ძირითადი კაპიტალის ინვესტიციებმა აზერბაიჯანში შეადგინა 7199 მლრდ მანათი, რაც 64 პროცენტით მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. შემდეგ მოდის სომხეთი – 61.5 მლრდ დრამი (+45 პროცენტი), მოლდოვა - 898 მლნ ლეი (+36 პროცენტი), უკრაინა – 6.1 მლრდ გრივნა (+14 პროცენტი), ყაზახეთი – 412 მლრდ ტენგე (+13 პროცენტი), რუსეთი – 800 მლრდ რუბლი (+12 პროცენტი), საქართველო – 165 მლნ ლარი (+12 პროცენტი). ყირგიზეთში აღინიშნა ძირითადი კაპიტალის ინვესტიციის შემცირება – 2.8 მლრდ სომი (-6 პროცენტი).

მედია-ნიუსი

"ჰიუნდაის" მოგებები გაორმაგდა

სამხრეთ კორეის უდიდესი ავტომწარმოებლის "ჰიუნდაის" მოგებები მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, თითქმის, გაორმაგდა. ამ მოულოდნელი წარმატების ძირითად მიზეზი გახდა კომპანიის ახალ მოდელებზე აშშ-სა და ევროპაში დიდი მოთხოვნილება.

აპრილ-ივნისის პერიოდში "ჰიუნდაის" მოგებები 86 პროცენტით გაიზარდა და კომპანია წლის დარჩენილ პერიოდშიც ამგვარ მაჩვენებლებს ელის. "ჰიუნდაის" წარმომადგენლები შემოსავლის ზრდას თავის დროზე ახალ მოდელებში დიდძალი ინვესტიციების დაბანდებასა და მომხმარებლებისათვის ახალი შეღავათების დაწესებით ხსნიან.

ცხადია, ეს ერთობ კარგი სიახლეა კორეული გიგანტისათვის, რომელიც ბოლო ხანს უფრო სკანდალების გამოა მოხვედრილი ყურადღების ცენტრში. შეგახსენებთ, ახლახან თვითმკვლელობით დასრულა სიცოცხლე "ჰიუნდაის" ერთ-ერთმა თავკაცმა. გარდა ამისა, კომპანიაში 7 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა გაფიცვა, რამაც "ჰიუნდაი" 2,1 მილიარდი დოლარით აზარალა.

საბოლოო ჯამში, მეორე კვარტალში "ჰიუნდაის" სუფთა მოგებამ 571 მილიარდი ვონი (320 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა. ეს დიდ შეღავათს მისცემს კომპანიას, რომელიც შარშან იძულებული იყო, 200 მილიარდი ვონი ევროპაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ბრალდებების ჩასაფარცხად გადაეხადა. კიდევ 500 მილიარდი კი აშშ-ში დაიხარჯა სხადასხვა ლიცენზიებზე.

"ჰიუნდაის" შემოსავალი, ძირითადად (60 პროცენტით), ექსპორტზეა დამოკიდებული და წარმატებაც სწორედ ამან განაპირობა. სამხრეთ კორეაში, რომლის შიდა ბაზარზე ისევ ჩავარდნაა, გაყიდვები 11 პროცენტით დაეცა. მაგრამ, აშშ-სა და ევროპაში გაყიდვებმა არნახულად აიწია. განსაკუთრებული მოთხოვნით "ჰიუნდაის" ჯიპები და ფუფუნების მანქანები სარგებლობს.

ჩინეთის ეკონომიკა უსწრაფესი ტემპით ვითარდება

ადამ მჭედლიძე

მთელ მსოფლიოში ეკონომიკური ჩავარდნის ფონზე, ჩინეთი კვლავაც განაგრძობს სწრაფი ტემპით წინსვლას. წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის ზრდა ამ ქვეყანაში სარეკორდო მაჩვენებლებს უტოლდება. ატიპური პნევმონიით მიყენებული ზარალის მიუხედავად, ივლისის თვეში წარმოება, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 16.5 პროცენტით გაიზარდა. ეს ზრდა, ძირითადად, ელექტრონული საქონლისა და მანქანების ხარჯზე მოხდა.

ჩინური წარმოება, ძირითადად, ექსპორტზეა გათვლილი, რომელიც, ასევე, არნახული ტემპით იზრდება. ივლისში საგარეო ვაჭრობის მოცულობა 32,8 პროცენტით გაიზარდა და 74,6 მილიარდ დოლარს მიაღწია. მიმდინარე წლის პირველი 7 თვის განმავლობაში ექსპორტი 228 მილიარდ დოლარს გაუტოლდა. რაც შეეხება იმპორტს, ივლისში იგი 43 პროცენტით გაიზარდა და ამ პერიოდისათვის ექსპორტს, თითქმის, გაუთანაბრდა – 222 მილიარდი.

მრეწველობის ბუმს გარკვეული უკუეფექტიც მოჰყვა. ზაფხულში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება კონდიციონერებზე, რამაც, ცხადია, სამრეწველო სექტორი ახეირა. სამაგიეროდ, ამას ელექტროენერგიის დეფიციტიც მოჰყვა, რამაც ქვეყანას გარკვეული სიძნელეები შეუქმნა.

ყველაზე სტაბილურად ქვეყანაში საავტომობილო სექტორი იზრდება, რომელსაც ისედაც უკავია მთელი მრეწველობის 71 პროცენტი. გარდა ამისა, ავტომობილების ექსპორტი ჩინეთში იანვარ-ივლისის პერიოდში 57 პროცენტით გაიზარდა და 105 ათას ცალამდე ავიდა. მართალია, გლობალურ მასშტაბთან შედარებით, ეს დიდი ვერაფერი მაჩვენებელია (მარტო ივლისში მთელი მსოფლიოს მასშტაბით 341 ათასი მანქანა იქნა გამოშვებული), მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩინეთის საავტომობილო ბაზარი ყველაზე სწრაფად მზარდია მსოფლიოში. ამ უკანასკნელ გარემოებას მსოფლიოს უკლებლივ ყველა საავტომობილო გიგანტის მიერ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციებიც ადასტურებს.

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

დინამო (უკრაინა) 3:1 დინამო (ხორვატია)
გრაცერი (ავსტრია) 1:1 აიაქსი (ჰოლანდია)
სელტა (ესპანეთი) 3:0 სლავია (ჩეხეთი)
შახტარი (უკრაინა) 1:0 ლოკომოტივი (რუსეთი)
გალათასარაი (თურქეთი) 3:0 ცსკა (ბულგარეთი)
მტკ (უნგრეთი) 0:4 სელტიკი (შოტლანდია)
ვარდარი (მაკედონია) 2:3 სპარტა (ჩეხეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი) 0:2 ჩელსი (ინგლისი)
ანდერლეხტი (ბელგია) 3:1 ვისლა (პოლონეთი)
აუსტრია (ავსტრია) 0:1 მარსელი (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია) 2:1 ბორუსია (დ. გერმანია)
გრასჰოპერსი (შვეიცარია) 1:0 აეკი (საბერძნეთი)
პარტიზანი (სერბეთი) 0:1 ნიუკასლი (ინგლისი)
რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1 კოპენჰაგენი (დანია)
როსენბორგი (ნორვეგია) 0:0 დეპორტივო (ესპანეთი)
ლაციო (იტალია) 3:1 გენფიკა (პორტუგალია)

ფორმულა 1

„სილვერსტოუნზე„ გამოხტომას სექტემბერში შეაფასებენ

REUTERS

კორნელიუს ჰორანი სილვერსტოუნის ტრასაზე.

გიგა ბურასაშვილი

ფორმულა 1-ის ბრიტანეთის გრან-პრის სასიამოვნო სანახაობად ქცევა, გარკვეულიწილად, 56 წლის კორნელიუს ჰორანის დამსახურება იყო. მართალია, იგი არც "ფერარის" ბოლიდს დააქროლებდა "სილვერსტოუნის" კლაკნილზე, და არც "უილიამსის" ღირსებას იცავდა, მაგრამ ისეთი რამ ჩაიდინა, ტრიბუნებზე თუ ტელეეკრანებთან მოკალათებულ მაყურებელს სუნთქვა შეეკრა. თუმცა, მისი შემწეობით, ფორმულა 1-ის მე-11 ეტაპი შეიძლებოდა ჩაშლილიყო.

როდესაც (20 ივლისი) "სილვერსტოუნის" კლაკნილზე რბოლა მიმდინარეობდა, ეს თავზეხელაღებული ტრასაზე რელიგიური შინაარსის ტრანსპარანტით გადახტა, თან - ყველაზე ჩქაროსნულ მონაკვეთზე - "ანგარ სტრეიტზე", სადაც ბოლიდები საათში, დაახლოებით, 300 კილომეტრის სისწრაფით დაქრიან.

კორნელიუს ჰორანს თადარიგი წინასწარ დაუჭერია - ადრევე შეუძენია გრან-პრიზე დასასწრები ბილეთი. ამგვარი გამოხტომა მისთვის პირველი როდია. როგორც ცნობილია, კორნელიუსი საკუთარი რელიგიურ რწმენის პროპაგანდისთვის უმბლდონის ცენტრალურ კორტზე შეღწევასაც ლამობდა. იგივე მიზანი ამოძრავებდა მას რაგბისა და კრიკეტის რიგ მატჩებზეც, მაგრამ მისი ამგვარი ქმედებები დროულად აღუკვეთიათ. ბუნებრივია, ამას ფორმულა 1-ის ბოსის ბერნი ეკლსტოუნის განრისხება მოჰყვა, რომელმაც შემდგომ "ბრიტანეთის გრან-პრის" ორგანიზატორები მუქარითაც მოიხსენია: "რას ჰგავს ასეთი უგერგილო უსაფრთხოების ნორმები. ჩემთვის ყოვლად გაუგებარია, თუ როგორ მოახერხა მან (კორნელიუს ჰორანმა) ტრასამდე მიღწევა და, საერთოდ, მანამდე რატომ არ აღკვეთეს მისი გამოხტომა - დროზე რატომ არ დააკავეს. მადლობა ღმერთს, რომ არავინ დაეჯახა. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მისმა ქმედებამ რბოლა წარმოუდგენლად შთაბეჭდავი გახადა", - რბოლის დასრულების შემდეგ გაბრაზებული საუბრობდა ეკლსტოუნი.

შეგახსენებთ, ჰორანის ხულიგნობის გამო, ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა შეეშვათ, რამაც შემდგომში რბოლის მიმდინარეობაზეც იქონია გავლენა - კერძოდ, პოულის მქონე "ფერარის" ბრაზილიელმა პილოტმა რუბენს ბარიკელომ ჩაფლავებული სტარტის შემდეგ რეაბილიტირება შეძლო და ფინიშის ხაზთან პირველი მიიჭრა. გამარჯვების შემდეგ კი ბრაზილიელმა ხუმრობითაც კი აღნიშნა, - შეიძლება ჰორანს ვინმემ ბრაზილიელობაც დასწამოსო.

საგულისხმოა, რომ "ფერარის" სამხრეთამერიკელ პილოტს ყოველთვის უმართლებდა ვინმე თავზეხელაღებულის მსგავსი გამოხტომებისას. მსგავსი ინციდენტების დროს გამარჯვებული ყოველთვის ბარიკელო გამოდიოდა.

რაც შეეხება კორნელიუს ჰორანს, სავსებით შესაძლებელია, "სილვერსტოუნის" ტრასაზე კუნტრუში მას ძვირად დაუჯდეს. არაა გამორიცხული, ამისთვის რამდენიმე წლით ციხეში ამოაყოფინონ თავი. ყოველ შემთხვევაში, აკრძალულ ტერიტორიაზე უკანონოდ შევარდნის გამო, კორნელიუს ჰორანი ორიოდე დღის წინათ წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს. წინასწარ პატიმრობაში ყოფნა კი სასამართლომდე (1 სექტემბრამდე) მოუწევს. მერე კი მისი ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მარიფათს გამოიჩენენ მისი ადვოკატები.

TV სპორტი

ხუთშაბათი. 14 აგვისტო

NTB + ფუტბოლ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ატალანტა" - "იუვენტუსი"
15:00 "დარტყმა გოლისთვის"
15:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკო" - "რეალ სოსიედადი"
17:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. "ვალენსია" – "ბარსელონა"
18:45 "FUTBOL MUNDIAL"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "კიევო" - "ინტერი"
21:20 "საფეხბურთო სამზარეულო"
21:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. "რეალი" – "ბავარია"
23:35 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ევერტონი"
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 "FUTBOL MUNDIAL"

NTB + სპორტ
11:00, 17:00, 19:45 პრეს-ცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:00 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
15:30 "ათენის გზაზე"
16:30 "კეგლის დროა"
17:30 კალათბურთი. NBA ჩემპიონატი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები
20:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:30 "ჰოკეის საღამო"
21:00 "ჩქაროსნული სამყარო"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 სპორტული ცეკვები. საერთაშორიოს ტურნირი
00:35 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
01:05 ახალი ამბები
01:20 "ჰოკეის საღამო"
01:50 "ჩქაროსნული სამყარო"

EUROSPORT
11:30 აფროსნობა
12:30 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
14:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
16:30 ტრამლინიდან ხტომები. გრანპრი გერმანიაში
19:30 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
21:15 ველორბოლა. ვუელტა
22:00 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
23:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
01:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
01:30 რალი რეიდი. მსოფლიო თასი ესპანეთში
01:45 ახალი ამბები
02:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

რატომ ვერ იხდის ვალს „ტორპედო"?

არის ერთი კაცი, რომელიც საკუთარ თავისგან იღებდა ვალებს, ახლა კი ეს ვალები "ტორპედომ" უნდა იხადოს...

პირველი გვერდიდან

"სიგმას" ჩამოერთვა საბანკო ოპერაციების წარმოების უფლება. ეროვნულმა ბანკმა "სიგმა ბანკს" ლიკვიდატორიც დაუნიშნა – ზურაბ იმერლიშვილი. 1999 წლის 7 ივნისს იმერლიშვილმა მიმართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა, რომ საფეხბურთო კლუბ "ტორპედოს" "სიგმა ბანკის" მიმართ არსებული დავალიანების (602,882 ლარის) გადახდა დაკისრებოდა. იმერლიშვილის მოთხოვნა იმ 13 საკრედიტო ხელშეკრულებას ეხებოდა, რომლებიც 1997-1998 წლებში განხორციელდა "სიგმა ბანკსა" და ქუთაისის "ტორპედოს" შორის.

1999 წლის 17 აგვისტოს "სიგმა ბანკის" აღნიშნული მოთხოვნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა - ბატონებმა ღიბრაძემ, გოცირიძემ და წულაძემ უყოყმანოდ დააკმაყოფილეს. "ტორპედოს" 602,882 ლარის, + 5 ათასი ლარის (სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ) გადახდა დაეკისრა. სხვანაირად ვერც მოხდებოდა, "სიგმა ბანკში" პრეზიდენტის კანცელარიის მუშაკთა ინტერესები იდო...

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ქუთაისის "ტორპედომ" მაშინვე გააპროტესტა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეურნეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ "ტორპედოს" საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა - 10 ნოემბერს გააუქმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ 17 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება და სათანადო მითითებებით საქმე იმავე კოლეგიას დაუბრუნა. მას შემდეგ "ტორპედოს" დავალიანების გადახდა-არგადახდასთან დაკავშირებული ათეულობით სასამართლო პროცესი გაიმართა სხვადასხვა ინსტანციაში. დავა დღემდე გრძელდება.

"ვინ" არის "სიგმა ბანკი"?

არადა, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სადავო, თითქოსდა, არაფერია – კერძო ორგანიზაციას, ამ შემთხვევაში ქუთაისის "ტორპედოს", მეორე კერძო ორგანიზაციის - "სიგმა ბანკის" დავალიანება აქვს. ვალებს კი დაბრუნება უნდა, მაგრამ...

იმ პერიოდში, როდესაც "ტორპედოს" "სიგმა ბანკიდან" სესხები გამოჰქონდა, კლუბის პრეზიდენტი ბესიკ ჯიქია იყო, "სიგმა ბანკის" პრეზიდენტი კი - ბატონი ბესიკ ჯიქია (!) არა, არა, შეცდომა არ გეგონოთ, "ტორპედოს" და "სიგმა ბანკს" მაშინ, მართლაც, ერთი და იგივე პიროვნება ხელმძღვანელობდა. მეტიც, "სიგმა ბანკი" საფეხბურთო კლუბ "ტორპედოს" დამფუძნებელიც გახლდათ და კლუბში მისი წილი 25 პროცენტს შეადგენდა. პარტნიორებთან არსებული შეთანხმების თანახმად, კლუბის მთლიან ფინანსურ უზრუნველყოფას სწორედ "სიგმა ბანკი" იღებდა თავზე. აქედან გამომდინარე, ეს ბანკი "ტორპედოს" ფაქტობრივ მეპატრონედ შეგვიძლია მივიჩნიოთ.

თუ "სიგმა ბანკი" "ტორპედოს" მეპატრონე იყო და თუ ამ ორივე ორგანიზაციის პრეზიდენტი ერთი და იგივე პიროვნება იყო, გამოდის, რომ ბატონი ბესიკ ჯიქია საკუთარ თავს სთხოვდა კრედიტს და საკუთარ თავსვე ასესხებდა თანხებს. საკუთარ თავთან გაფორმებული ხელშეკრულება კი საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება და ბათილად ითვლება. სასამართლო გარჩევებიდან გაირკვა, რომ ხელშეკრულებების გაბათილების თავიდან აცილების მიზნით, ჯიქია "სიგმა ბანკიდან" ჯერ გასცემდა კრედიტს "ტორპედოზე", კონტრაქტს კი მოგვიანებით აფორმებდა.

ჯიქია ახლა აღარც "სიგმა ბანკში" მოღვაწეობს და აღარც "ტორპედოში", მის მიერ საკუთარი თავისაგან აღებული სესხების გასტუმრებას კი საფეხბურთო კლუბ ქუთაისის "ტორპედოსაგან" მოითხოვენ...

აშვეთია 350 ათასად გაიყიდა. სად წავიდა 300 ათასი?

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც "სიგმა ბანკი" "ტორპედოზე" კრედიტებს გასცემდა, შემდეგ კი ვალების დაბრუნებას სთხოვდა მას, ქუთაისური კლუბი თავის საუკეთესო ფეხბურთელს, საქართველოს ნაკრების წევრს, მიხეილ აშვეთიას ყიდის, ტრანსფერის ღირებულება 350 ათასი აშშ დოლარია – ეს თანხა "ტორპედოს" "სიგმა ბანკისადმი" დავალიანების მთლიან თანხას აღემატება. აქედან გამომდინარე, კლუბს არ უნდა გაჭირვებოდა ვალების დაბრუნება.

აშვეთია თბილისის "დინამოში" გადადის, "დინამო" 350 ათას დოლარს იხდის. გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში მდებარე "დოიჩე ბანკის" ცენტრალური ოფისიდან "სიგმა ბანკში" ქუთაისის "ტორპედოს" ანგარიშზე გადმოირიცხა 50 ათასი დოლარი. დანარჩენი 300 ათასი არ ჩანს. აშვეთიას ტრანსფერის უშუალო მონაწილე ვლადიმერ გუცაევი ბესიკ ჯიქიას ხელზე უხდის 150 ათას დოლარს, დარჩენილი 149,852 ათასი ისევ "სიგმა ბანკში" ჩაირიცხა, თუმცა არა უშუალო ადრესატის, "ტორპედოს" ანგარიშზე, არამედ ვინმე ზურაბ ჩიქვანაიას სახელზე. ეს პიროვნება აშვეთიას ტრანსფერის საქმეში საერთოდ არ ფიგურირებდა და გაურკვეველია, რატომ მიუთითა ჯიქიამ ჩიქვანაიას საბანკო ანგარიში, რათა "დინამოს" "ტორპედოს" კუთვნილი ფული გადაერიცხა. ვინ იყო ჩიქვანაია, მას შემდეგ ირკვევა, რაც ნათელი გახდა, რომ ჯიქია არც გუცაევისგან მიღებული 150 ათასის და არც ჩიქვანაიას ანგარიშზე გადარიცხული 149,852 ათასი დოლარის "ტორპედოსთვის" გადაცემას არ აპირებდა. ჩიქვანაიას სახელზე გახსნილი ანგარიში კიდევ 150 ათასის "შოვნის" მარტივი საშუალება იყო.

"ტორპედოს" ფეხბურთელით "ნაშოვნი" ფული არც მის პატრონს მიუღია და არც "სიგმა ბანკისადმი" არსებული სესხის დაფარვას მოხმარებია.

1998 წლის 5 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, "სიგმა ბანკმა" ქუთაისის "ტორპედოს" საწესდებო კაპიტალში საკუთარი წილი გაასხვისა და გადასცა შპს "იმერეთ იმპექსს". ქუთაისის საქალაქო პროკურატურაში კი ბესიკ ჯიქიასა და ზურაბ ჩიქვანაიას მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს პირები პასუხისგებაში არიან გადაცემულნი და იძებნებიან. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებებისა, გარდა 300 ათასი დოლარის უკანონოდ მითვისებისა, ჯიქიას განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვაშიც ედება ბრალი. 300 ათასი აშშ დოლარის დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) ხომ 60 ათას დოლარს შეადგენს.

"ტორპედო" მაინც დამნაშავეა?..

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ქუთაისის საოლქო სასამართლომ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებები გააუქმა და "ტორპედო" "სიგმა ბანკისადმი" არსებული დავალიანების დაფარვის ვალდებულებისგან გაათავისუფლა. ამის შემდეგ საქმე კვლავ განიხილა უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც ქუთაისის "ტორპედოს" მისამართით ჩადენილი არც ერთი დანაშაული არ გაუთვალისწინებია. უზენაესმა სასამართლომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს უკანასკნელი გადაწყვეტილება გააუქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ტორპედოს" კვლავინდებურად მოეთხოვება "სიგმა ბანკიდსადმი" დავალიანების დაფარვა. საფეხბურთო კლუბს ამ გადაწყვეტილების გაპროტესტების უფლებაც აღარ აქვს ბესიკ ჯიქიას და ზურაბ ჩიქვანაიას დაპატიმრებამდე. არადა, ვინ იცის, ეს როდის მოხდება ან მოხდება კი საერთოდ?

არაოფიციალური ინფორმაციით, ბესიკ ჯიქია უკრაინაში იმყოფება და რომელიღაც ადგილობრივ საფეხბურთო კლუბში საქმიანობს. ქუთაისის "ტორპედო" კი დღეს საღამოს UEFA-ს თასის მატჩს ატარებს ფრანგული "ლანსის" წინააღმდეგ, თუმცა ფეხბურთის თამაშის გარდა, "ვალებზეც" უწევს ფიქრი...

პატარკაციშვილი პრეზიდენტია

ფირცხალავა - უმუშევარი?

"გადაწყდა, რომ თბილისის "დინამოს" მფლობელი, ბადრი პატარკაციშვილი ამიერიდან კლუბის პრეზიდენტის პოსტსაც დაიკავებს. მმართველი დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას კვლავინდებურად გააგრძელებს დავით პეტრიაშვილი, ხოლო აღმასრულებელი დირექტორის პოსტი "დინამოში" გაუქმებულია. უახლოეს ხანებში კლუბში კიდევ განხორციელდება სტრუქტურული ცვლილებები", - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გუშინ დილით საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" პრეს-სამსახურმა. ეს ინფორმაცია საკმაოდ მოულოდნელი იყო. ცნობილია, რომ ბადრი პატარკაციშვილი, "დინამოს" გარდა, უამრავ სხვა სფეროში საქმიანობს. საფეხბურთო კლუბი მისი "ერთერთი ბიზნესია". ის, რომ ბატონი ბადრი "დინამოს" პრეზიდენტად მოგვევლინებოდა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საინტერესო. გუშინდელ დღემდე კლუბში პრეზიდენტის პოსტი საერთოდ არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც "დინამოს" პატარკაციშვილი დაეპატრონა, პრეზიდენტის პოსტის ნაცვლად, კლუბში აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა შემოიღეს. სწორედ აღმასრულებელი დირექტორი - გია ფირცხალავა ასრულებდა ხელმძღვანელის ფუნქციებს. მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ სფფის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით პეტრიაშვილი არჩევნებში დამარცხდა, ის "დინამომ" "შეიკედლა" და საკმაოდ დიდი თანამდებობაც მისცა. "დინამოში" კიდევ ერთი დირექტორის პოსტი გაჩნდა. დავით პეტრიაშვილი კლუბის მმართველი დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს. მაშინვე გაჩნდა ეჭვები, რომ გია ფირცხალავას თანდათანობით "ჩამოაცილებდნენ" ხელმძღვანელის თანამდებობას.

ბადრი პატარკაციშვილმა ფირცხალავას ხელმძღვანელის ფუნქციები ჩამოართვა.

გუშინ ისე მოხდა, რომ პატარკაციშვილი პრეზიდენტი გახდა, მმართველი დირექტორის პოსტი კი საერთოდაც გაუქმდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გია ფირცხალავა უმუშევარია, ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე მას ახალ თანამდებობას "მოუძებნიან". მაგრამ, მოხდება კი ეს? თბილისის "დინამო" ზემოთ დაბეჭდილი ინფორმაციით შემოიფარგლა და არც ერთ სხვა თემაზე კომენტარს არ აკეთებს. გია ფირცხალავასთან დაკავშირების მცდელობა კი ამაო აღმოჩნდა - მას მობილური ტელეფონი გუშინდელი დღის განმავლობაში სულ გამორთული ჰქონდა.

ლევან ხარებავილის ფოტო

იმედია, უახლოეს დღეებში საშუალება მოგვეცემა, უფრო კარგად გავერკვეთ "დინამოში" მიმდინარე პროცესებში. ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია პატარკაციშვილის ეს ნაბიჯი, თუმცა ერთი რამ ნათელია – ეს გადაწყვეტილება კლუბის უფრო ეფექტური მუშაობისთვისაა მიღებული. გამოსწორდება თუ არა პატარკაციშვილის პრეზიდენტობით ვითარება "დინამოში", ამას მომავალ წელს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებისას ვნახავთ...

ინფოთეკა

ფეხბურთი. კატალონიურმა "ბარსელონამ" კონტრაქტი გააფორმა "ვალიადოლიდის" მცველ მარიო ალვარესთან. თავის ახალ კლუბში ალვარესი იჯარის წესით ითამაშებს. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. ეს უკვე "ბარსას" მეექვსე შენაძენია მიმდინარე სეზონში.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფრანცო გრანდე სტივენსი ოფიციალურად გახდა ტურინის "იუვენტუსის" პრეზიდენტი. სტივენსი უკვე 22-ე პრეზიდენტია კლუბის 106-წლიან ისტორიაში. ამ პოსტზე მან ვიტორიო დი კიუზანო შეცვალა, რომელიც ივლისში გულის შეტევით გარდაიცვალა.

■ ■ ■

ფეხბურთი. თავისი ახალი კლუბის, მიუნხენის "ბაიერნის" შემადგენლობაში რიო მაკაის დებიუტი გუშინ შედგა. საკონტროლო შეხვედრაში, რომელიც "ბაიერნმა" მეორე ბუნდესლიგის კლუბ "ნიურნბერგთან" გამართა და ამხანაგურ ხასიათს ატარებდა, ბავარიელებმა "მშრალი" ანგარიშით, 2:0 გაიმარჯვეს. თუმცა, ამ მატჩში ყოფილმა დეპორტივოელმა გოლის გატანით თავის გამოჩენა ვერ მოახერხა.

გუნდის მთავარი მწვრთნელის, ოტმარ ჰიტცფელდის თქმით, მაკაი შაბათს, ბუნდესლიგის მორიგ ტურში "ბოხუმის" წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. პატრიკ ვიეირამ და რობერ პირესმა ლონდონის "არსენალთან" ახალი კონტრაქტები გააფორმეს. ვიეირა "მეთოფეთა რიგებში 2007 წლამდე დარჩება, პირესი კი 2008 წლამდე. ამრიგად, ფრანგებმა ბოლო მოუღეს მოარულ ჭორებს მათი სხვა კლუბებში გადასვლის შესახებ.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედმა" ორი ფეხბურთელი შეიძინა. კლუბმა კონტრაქტები გაუფორმა პორტუგალიის "სპორტინგის" 18 წლის ფორვარდ კრისტიანუ რონალდუს და ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელს, მსოფლიო ჩემპიონ კლებერსონს. ორივე ფეხბურთელმა 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. რონალდუში მანჩესტერელებმა, თითქმის, 20 მილიონი დოლარი გადაიხადეს, კლებერსონში კი, დაახლოებით - 10 მილიონი.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიური "პარმას" ფორვარდი ადრიან მუტუ ლონდონის "ჩელსიში" გადავიდა. ამის თაობაზე ინფორმაცია უეფას ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა. სატრანსფერო ტანხამ 22,4 მილიონი ევრო შეადგინა. რუმინელმა, რომელმაც შარშანდელ სეზონში 18 გოლი გაიტანა და "პარმას" უეფას თასის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა, პირადი კონტრაქტიც გააფორმა და ახლა ბრიტანეთში სამუშაო ვიზის გაფორმებას ელოდება.

■ ■ ■

კალათბურთი. გუშინ "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" "ცენტრმა" არვიდას საბონისმა თავის პირად აგენტს ჰერბი რუდოუს აცნობა, რომ მომავალ სეზონში თამაშს არ აპირებს, რის მიზეზადაც ლიტვაში საკუთარ ოჯახთან ერთად მეტი დროის გატარების სურვილი დაასახელა.

"პორტლენდთან" ახალი კონტრაქტის გაფორმების ბოლო ვადა საბონისს 16 აგვისტომდე აქვს. მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, იგი ამ კლუბთან 2005 წლამდეა დაკავშირებული და თუ საბონისი ოჯახურ იდილიას შეელევა და ისევ თამაშს გადაწყვეტს, ეს "ბლეიზერსის" რიგებში მისი მეორე სეზონი იქნება, რომლის განმავლობაშიც 38 წლის კალათბურთელი 7 მილიონ დოლარს მიიღებს.

ლიტველმა კალათბურთელმა, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სპორტის სასახელშიც ბევრი შეხვედრა ჩაუტარებია, ერთხელ უკვე გადაწყვიტა თამაშისთვის თავის დანებება. ეს 2001-2002 წლების სეზონზე მოხდა, მაგრამ მერე იგი ფინანსურმა პრობლემებმა შეაწუხა და იძულებული გახდა, აქტიურ სპორტს დაბრუნებოდა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ლეგენდარული ავსტრიელი ჩოგბურთელი ტომას მუსტერი კორტზე დაბრუნებას აპირებს. მან ATP Seniors Tour CA Challenge-ის ტურნირზე ანრი ლეკონტი – 6:3, 6:4 დაამარცხა და განაცხადა, რომ ATP-ის ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას. "თუ ყველაფერი კარგად იქნება, მე ნორმალურ ტურნირებში რამდენიმე მატჩს ჩავატარებ," – განაცხადა მუსტერმა.

■ ■ ■

ფორმულა 1. 2005 წლიდან ხუან პაბლო მონტოია "მაკლარენის" ღირსებას დაიცავს. კონტრაქტი, ერთ-ერთი კოლუმბიური გამოცემის მტკიცებით, ჯერ კიდევ ბრიტანეთის გრანპრის დროს, ივლისში გაფორმდა. ამ კონტრაქტის შესახებ ჭორი დიდი ხნის განმავლობაში ვრცელდებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გადაიდო დევიდ კულტჰარდთან კონტრაქტის გაგრძელება. ფრენკ უილიამსმა ეს ხმები უარყო და განაცხადა, რომ 2004 წლამდე კოლუმბიელს არსად გაუშვებს. როგორც ჩანს, "მაკლარენმა" მოცდა ამჯობინა და პილოტთან გააფორმა კონტრაქტი, რომელიც ძალაში 2005 წლიდან შედის.

■ ■ ■

ჰოკეი. გუშინ NHL-ის კლუბმა "ფლორიდა პანტერზმა" ერთბაშად 5 ჰოკეისტთან გააფორმა კონტრაქტები. რუსმა სპორტსმენებმა - ივან ნოვოსელცევმა და რაიან ჟარდინმა ფლორიდულ კლუბთან ერთწლიან შეთანხმებას მოაწერეს ხელი. გოლკიპერი ტრევის სკოტი, რომელიც გასულ სეზონში "ლოს ანჟელესის" ღირსებას იცავდა, ფლორიდაში 2 წლით დარჩება. ამას გარდა, "პანტერებმა" ორმხრივი კონტრაქტები გააფორმეს ცენტრფორვარდებთან - იანის სპრუქტსოსთან და გრეგორ იასინასთან.

"ფლორიდა პანტერზის" პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადებით, ეს კლუბი სეზონის დაწყებამდე კიდევ გააგრძელებს მუშაობას სატრანსფერო ბაზარზე. არ არის გამორიცხული, "პანტერებთან" პაველ ბურეც დარჩეს, რომელიც ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს კლუბის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ პირობებზე კონსენსუსი ჯერ არ გამონახულა.

ბერლინის კედელი - მსოფლიო მემკვიდრეობა?!

ბერლინის კედელი შესაძლოა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანონ. გერმანელები ფიქრობენ, რომ კედელს გაფრთხილება ესაჭიროება, იუნესკოს მფარველობა კი მას სრული განადგურებისაგან დაიცავს. იუნესკოს შემწეობით შენარჩუნდება კედელი, რომელიც კაცობრიობას მარადიულად შეახსენებს ცივი ომის პერიოდსა და ევროპის დაყოფაზე. წლების მანძილზე ბერლინის კედელი ქვისგან გამოკვეთილი კომუნიზმის სიმბოლო იყო, მისი დაცემა 1989 წლის 9 ნოემბერს, აშენებიდან 28 წლის შემდეგ, კომუნიზმის დაცემის აშკარა სიგნალი გახდა. ამიტომ აუცილებელია დავიცვათ ბერლინის კედელი, როგორც ისტორიული ძეგლი, - ამბობენ აღნიშნული იდეის მომხრეები. გერმანიაში იუნესკოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კედელი ყოველმხრივ შეესაბამება ამ ორგანიზაციის მიერ დაწესებულ კრიტერიუმებს. ასე რომ, ბერლინის კედლის დასახელება იუნესკოს ნუსხაში სრულიად კანონიერი და დროულია. თუმცა ამ იდეას ყოფილი კომუნისტები არ იზიარებენ, მათი თქმით, ეს მოთხოვნა უბრალოდ "აბსურდულია". გუშინ, 13 აგვისტოს, 42 წელი შესრულდა იმ დღიდან, როცა ბერლინის კედლის აშენება დაიწყეს.

სასარგებლო გართობა ბავშვებისათვის

ისრაელის ტურიზმის სამინისტრო დასავლეთ გალილეაში უჩვეულო პარკის გაშენებას გეგმავს. ეს პარკი საგანგებოდ ბავშვებისთვის იქნება განკუთვნილი, აქ შეხვდებით სხვადასხვა ატრაქციონებს ივრითზე დაწერილი პოპულარული საბავშვო ზღაპრებისა და მოთხრობების მოტივებზე. როგორც პროექტის ორგანიზატორები ამბობენ, ბავშვებს შესაძლებლობა მიეცემათ არა მხოლოდ წაიკითხონ საბავშვო ლიტერატურა, არამედ უშუალოდ შეიგრძნონ და გაიცნონ ზღაპრის პერსონაჟები. პარკში ტყის გაშენებაც გადაწყვეტილია. ტურიზმის სამინისტრო მიიჩნევს, რომ ეს პროექტი დღეისათვის ძალიან აქტუალურია, გალილეაში ბევრი ოჯახი ისვენებს, გასართობი პარკი კი ბავშვებს დაეხმარება საინტერესოდ და სასარგებლოდ გაატარონ არდადეგები.

50 ათასი დოლარი ერთ კოცნაში

საქველმოქმედო აუქციონზე ამერიკელმა ქალმა 50 ათასი დოლარი გადაიხადა იმისათვის, რომ შერონ სტოუნის კოცნის უფლება მოეპოვებინა. შერონ სტოუნის კოცნის მსურველი რამდენიმე მამაკაცი ბოლოს იძულებული გახდა დაეთმო ჯონი რიმისათვის, რომელმაც გაიმარჯვა პაექრობაში 45-წამიანი კოცნისათვის. 45 წლის მსახიობმა ქალმა, რომელიც ბისექსუალის როლს თამაშობს ფილმში "ძირითადი ინსტინქტი" ეს როლიც მშვენივრად შეასრულა, შერონი შესანიშნავად გამოიყურებოდა და კოცნაც ვნებიანი იყო, - ირონიულად აღნიშნავდნენ მაყურებლები. სანახაობაზე მისული საზოგადოება კოცნას ოვაციებით შეეგება. თუმცა ზოგიერთებმა შენიშნეს, რომ პროცედურის დასრულების შემდეგ შერონი ცოტა არ იყოს დაბნეული იყო. სამაგიეროდ, ბრწყინავდა ჯონი, რომელმაც 50 ათას დოლარად სტოუნის კოცნა მოახერხა. "მირორის" განცხადებით, ეს ისტორიაში ყველაზე ექსპრესიული კოცნა იყო. ბევრმა ინატრა კიდეც ამერიკელი ქალის ადგილას ყოფნა.

აუქციონი ლოს ანჯელესში გაიმართა შიდსთან ბრძოლის საზოგადოების ინიციატივით. შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებისთვის დაიხარჯება.

ქუჩის ექსპერიმენტი ცარიელ აგურის კედელზე

ვიდეო-არტის ფესტივალში ქართველი მხატვრებიც მონაწილეობენ

თამარ სუხიშვილი

ფესტივალის ფორმა ძალიან უბრალოა - ვიდეოპროექცია ქალაქში, ცარიელ სივრცეში. გასულ წელს ვიდეოარტის პროეცირებისთვის ცარიელი სარეკლამო დაფა გამოიყენეს, წელს სამიზნე აგურის კედელი იქნება. 22 აგვისტოს მოსკოვში ვიდეოარტის ქუჩის ფესტივალი დაიწყება. მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის საკუთარ ნამუშევრებს ქართველი მხატვრებიც წარმოადგენენ. უკვე დადგა დრო, ხორცი შევასხათ ტატლინის ლოზუნგს: "ხელოვნება ცხოვრებაში!" - ამბობენ ავანგარდისტები.

შარშან ზაფხულში მოსკოვში, პუშკინის მოედნის სიახლოვეს, გამვლელები უცნაური სანახაობის მომსწრენი გახდნენ. მოედნის გვერდით ერთი ცარიელი სარეკლამო დაფა იყო აღმართული; როცა შებინდდებოდა, ამ დაფაზე ერთმანეთს ცვლიდა ნაირფერი გამოსახულებები, ვიდეოკლიპები, ანიმაცია, მოკლემეტრაჟიანი ფილმები... ეს სანახაობა სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, მნახველებს თავიანთი ნაცნობ-მეგობრები მოჰყავდათ, იმათ კიდევ - ვიღაცეები და ხალხიც მატულობდა და მატულობდა ქუჩაში. აქ შეხვდებოდით ცნობილ რუს ავანგარდისტ მხატვრებს, დიზაინერებსა და მოდელიერებს ანდრეი ბარტიონოვს, გერმან ვინოგრადოვს, ძმებ პოლუშკინებს, გეორგი ოსტრეცოვს, ჯგუფებს: Лето, В тени, ФНО და მრავალ სხვას. სარეკლამო დაფაზე მხატვართა ვიდეოპროექტების პროეცირება ხდებოდა, ამ პროექტთა უმრავლესობა მოსკოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მონაწილე იყო. ასე დაიწყო მოსკოვში ექსპერიმენტული ვიდეოფესტივალი, რომელშიც ოცდაათამდე მხატვარი მონაწილეობდა.

რა მიზანი ამოძრავებდათ ფესტივალის ორგანიზატორებს? - ქუჩის ფესტივალის დაარსების იდეა ასეთნაირად დაიბადა: მოსკოვში სხვადასხვა სტილები და მიმდინარეობები ერწყმის ერთმანეთს, და უბრალოდ საცოდაობა იქნებოდა, რომ ამ ქალაქის სივრცე თანამედროვე ხელოვანებს არ გამოგვეყენებინა. ვიდეო-არტის ფესტივალი ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობების სინთეზია, რომელიც, თავის მხრივ, ერწყმის ქალაქის გარემოს და საშუალებას აძლევს ნებისმერი ადამიანს ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღოს. ჩვენი მიზანი თანამედროვე ქალაქის სახის შეცვლაა ხელოვნების მეშვეობით, მცდელობა იმისა, თუ როგორ ვაქციოთ ნაცნობი სივრცე ხელოვნების სივრცედ, - ასეთია პასუხი.

რატომ აირჩიეს ფესტივალის ორგანიზატორებმა მაინცდამაინც ეს მიტოვებული ცარიელი ადგილი ქალაქის ცენტრში, არაფრით გამორჩეული, სამი მხრიდან გაშლილი, მეოთხე მხარეს კი საცხოვრებელი სახლის ყრუ კედლით ჩაკეტილი? უნდა ითქვას, რომ ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, ავანგარდისტებისთვის დროსა და ადგილს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, მხატვრული აქციისთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ. აღნიშნული ტერიტორია იდეალური ადგილია, აქ თანამედროვე არასტანდარტული ფორმის ხელოვნებას შეუძლია ძლიერად გაშალოს ფრთები. ამასთან, მოსკოვური ექსპერიმენტის მიზანი ქალაქის მოედნების პირვანდელი იერსახის შეცვლა და ქალაქური სივრცის ხელოვნების სივრცედ გარდაქმნაც იყო. სხვათა შორის, აქედან წამოვიდა ფესტივალის სახელწოდებაც (ПУСТО - ასე ჰქვია ფესტივალს), რომელმაც ცარიელი ადგილი ვიდეოხელოვნების საშუალებით უნდა გამოაცოცხლოს.

დიმიტრი პოვოლოცკი – "სახურავი", 2003

ანდრეი ბარტიონოვის პერფორმანსი, ნიუ-იორკი 2002

არნოლდ შვარცენეგერი ტერმინატორის როლში, 2002

წელს ვიდეოხელოვნება მოსკოვის ქუჩას კიდევ უფრო გამოაცოცხლებს. შარშანდელმა ექსპერიმენტმა გაამართლა. ამას მოწმობს მაყურებელთა რაოდენობა, მონაწილეობის მსურველთა რიცხვის ზრდა, ნამუშევართა ხარისხი და, რა თქმა უნდა, დიდი ინტერესი. მოსკოვის ქუჩის ვიდეო-არტის ფესტივალი (ასეთია ამ ექსპერიმენტული ღონისძიების სრული სახელწოდება), რიგით მეორე, რომელიც ფაბლიქ-არტის ჟანრს განეკუთვნება და რომელიც არა მხოლოდ ხელოვანებსა და საგანგებოდ მოსულ მაყურებელზე, არამედ უბრალო გამვლელზეც არის გათვლილი (ამ შემთხვევაში ცარიელი მოედანი გამვლელსა და მხატვარს შორის შუამავალი ხდება, ისევე როგორც სცენა თეატრში და მათ შორის უშუალო კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა), მოსკოვურ გარემოს სულ რაღაც ერთ კვირაში გაახალისებს.

ქუჩის ფესტივალი 22-24 აგვისტოს გაიმართება. ფესტივალის მხარდამჭერები არიან: ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა, გოეთეს სახელობის გერმანული კულტურის ცენტრი, თანამედროვე ხელოვნების მხარდამჭერი რეგიონალური საქველმოქმედო საზოგადოებრივი ფონდი - "ხელოვნების პროექტები", რუსული კულტურის ცენტრი "კალიტკა". ფესტივალის ფორმა თანამედროვე ხელოვნების ჩაკეტილი საზღვრების რღვევაა, ნამუშევართა ერთ ნაწილს საგამოფენო დარბაზებიდან გამოიტანენ და ფართო მაყურებელს წარუდგენენ. მაყურებელი იხილავს სხვადასხვა გალერეების თანამედროვე კოლექციებს, მათ შორის ტრეტიაკოვის გალერეის კოლექციას. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ფაბლიქ-არტის პროექტები ძალიან გავრცელებულია ევროპასა და აშშ-ში, მოსკოვისთვის კი "პუსტო" ფაქტობრივად პირველი ღია პროექტია, რომელიც ვიდეო-არტთან და ვიდეოტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული და რომელსაც სოციალური და საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს.

წლევანდელი ფესტივალი უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდება. გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა, საგრძნობლად გაფართოვდა ფესტივალის გეოგრაფიული არეალი, თუ 2002 წელს ამ ღონისძიებაში მხოლოდ მოსკოველი და პეტერბურგელი ხელოვანები მონაწილეობდნენ, 2003 წელს მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს მხატვრებმა ნოვოსიბირსკიდან, ნიჟნი ნოვგოროდიდან, სამარიდან, თბილისიდან, მინსკიდან, კიევიდან, ასევე ნიუ იორკიდან, ლონდონიდან, ჟენევიდან, ბერლინიდან, მიუნხენიდან. პროგრამებს წარადგენენ ისეთი ცნობილი ინსტიტუტები, როგორიცაა გოეთეს გერმანული კულტურის ცენტრი, თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრი, აქვე ჩართულია არტ-ჯგუფის - Слепые-ს პერფორმანსი, მედია-პროექტი "ტელევიზიის ახალი საუკუნე" და სხვები. სამი დღის განმავლობაში, საღამოს რვა საათიდან თერთმეტ საათამდე, ვიდეოპროექტების პრეზენტაციის ცვენა იქნება - სამ დღეში ორმოცზე მეტი მონაწილე, დამეთანხმებით, არცთუ ცოტაა.

ჯერჯერობით "პუსტოს" ფორმა ძალიან უბრალოა: ვიდეოპროექცია უმოქმედო, ცარიელ ზედაპირზე. გასულ წელს ვიდეოარტის პროეცირებისთვის ცარიელი სარეკლამო დაფა გამოიყენეს, წელს სამიზნე აგურის კედელი იქნება. ფესტივალის ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ დროთა განმავლობაში ფორმა სახეს იცვლის. მონაწილეობის მსურველი მხატვრები უკვე ახალი იდეებით გამოდიან, ბევრ მათგანს სურს, რომ გაკეთდეს პროექტები რამდენიმე ეკრანისათვის. მათ ასევე დიდი სურვილი აქვთ, რომ ქუჩის ფესტივალზე ვიდეოპროექციასთან ერთად ვიდეოტექნოლოგიების ცოცხალი პროექტებიც გაჩნდეს. მონაწილეთა და ორგანიზატორთა სამომავლო პროგნოზი კი ასეთია: ჩვენებები მოედება რამდენიმე მოედანს, რამდენიმე ქუჩას, მერე მოედება მთელ ქალაქს... მაგრამ "პუსტო" მაინც "პუსტოდ" დარჩება, ფესტივალს სახელი ალბათ არ შეეცვლება, რადგან ის ზუსტად შეესაბამება "უდაბური ადგილების იდეოლოგიას" - ჩვენ არ ვიბრძოლებთ საუკეთესო ადგილებისათვის, ჩვენ ვიდეოპროექტორს გაუდაბურებულ, მიტოვებულ ადგილებში წავიღებთ.

ფესტივალის უმთავრესი ფუნქცია თანამედროვე ხელოვნების ინექციაა ქალაქის სივრცეში; 20-30-იანი წლების ავანგარდისტები მიზნად ისახავდნენ, ხელოვნება რეალური ცხოვრების მდინარებაში ჩაერთოთ, გარდაექმნათ ცხოვრება მისი საშუალებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ახლა დადგა შესაფერისი ისტორიული მომენტი, ხორცი შევასხათ ტატლინის ლოზუნგს: "ხელოვნება ცხოვრებაში!" - ამბობენ თანამედროვე ავანგარდისტები.

როგორ განხორციელდება ცნობილი ავანგარდისტის, ტატლინის ლოზუნგი მოსკოვურ რეალობაში, ამას სულ მალე გავიგებთ. ჩვენთვის ქუჩის ვიდეო-არტის ფესტივალი კიდევ ერთი რამით არის საინტერესო. მასში ქართველი მხატვრები: კოკა რამიშვილი და გია რიგვავაც მონაწილეობენ.

კოკა რამიშვილი ფესტივალის ბოლო დღეს, 24 აგვისტოს წარმოადგენს პერფორმანსს - Call Me I'm Buzy... - "დამირეკე, მე დაკავებული ვარ..." ამავე დღეს მაყურებელი იხილავს გია რიგვავას ნამუშევარსაც "ნუ დაუჯერებთ მათ, ისინი ყველანი იტყუებიან" (პროექტი "ისტორია მეორდება", კურატორი ანტონიო ჯეუზა).

ფილმი სიძულვილზე თუ სიყვარულზე?

მელ გიბსონის ახალმა ფილმმა დიდი აყიოტაჟი გამოიწვია

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ებრაულმა ორგანიზაციამ, რომლის სახელია "ლიგა ცილისწამების წინააღმდეგ", მელ გიბსონს ანტისემიტიზმში დასდო ბრალი. ამ ბრალდების მიზეზი გიბსონის ახალი ფილმია. სურათი "ვნება" (The Passion) იესო ქრისტეს ცხოვრებაზე მოგვითხრობს, მელ გიბსონი მასზე უკვე დიდი ხანია მუშაობს. "ლიგა ცილისწამების წინააღმდეგ" მიიჩნევს, რომ ბიბლიური სიუჟეტები ფილმში "სახიფათო რაკურსით" არის ნაჩვენები. "ლიგის" საგანგებო განცხადებაში ნათქვამია, რომ იესოს ჯვარცმაში ფილმის შემქმნელები ებრაულ ხელისუფალთ და ებრაელ ხალხს ადანაშაულებენ. გიბსონის წარმომადგენელი ამ აზრს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ფილმში სრულებითაც არ შეინიშნება ანტისემიტური განწყობა. ბრალდებები გიბსონის პროდიუსერული კომპანიისთვის ახალი არ არის, ამ ბრალდებების მიზეზი კი ის საფრთხილო თემატიკაა, რომელსაც რეჟისორი შეეჭიდა. ანტისემიტურ ბრალდებას წინ უძღოდა კათოლიკე ეპისკოპოსების კრიტიკა, რომელთა აზრით, ფილმის პათოსი კათოლიკური ეკლესიისთვისაც მიუღებელია.

რაბინი იუჯინ კორნი, რომელიც სათავეში უდგას "ლიგის" რელიგიებთან ურთიერთობის განყოფილებას, აღშფოთებას ვერ მალავს და ამბობს, ფილმში ბევრი საშიში და მწვალებლური დეტალია, ის, რასაც, იუდეველებიც ებრძვიან და ქრისტიანებიც. ამასთან, მან იმედი გამოთქვა, რომ გიბსონი და მისი პროდუსერული კომპანია კინოფირის შეცვლის საკითხს განიხილავს.

"ჩვენ ძალიან შეშფოთებული ვართ, თუ ფილმი ამ სახით გავა კინოგაქირავებაში, მან შეიძლება სიძულვილისა და ანტისემიტიზმის პროვოცირება მოახდინოს, მთელი შრომა წყალში ჩაგვეყრება, ამ სიძულვილს ხომ წლების განმავლობაში ებრძოდნენ სხვადასხვა რელიგიების მსახურნი," - აცხადებს "ლიგის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ფირის შეცვლაზე კინოკომპანიაში ჯერჯერობით არ საუბრობენ. გიბსონის წარმომადგენელი ალან ნირობი ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ამ ფილმის შემქმნელებს სრულებითაც არა აქვთ განზრახული სიძულვილის და მტრობის გაღვივება. პირიქით, სინამდვილეში მელ გიბსონს სულ სხვა განზრახვა ამოძრავებს. ცნობილმა მსახიობმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ეს არის ფილმი სიყვარულზე, იმედზე, წმენასა და პატიებაზე.

ახალ ფილმში მელ გიბსონი რეჟისორად, სცენარისტად და პროდიუსერად მოგვევლინება. "ვნებაში" მთავარ როლებში ჯიმ კავიზელსა (ცნობილია ფილმიდან "წვრილი წითელი ზოლი") და მონიკა ბელუჩის ვიხილავთ. დიალოგები ლათინურ და არამეულ ენაზეა, სუბტიტრების გარეშე. გიბსონი ამბობს, რომ ფილმი მაყურებელს კი არ შეურაცხყოფს, არამედ სულიერად აამაღლებს.

ხელოვნება პატიმრების ნაცვლად

ჩრდილოეთ ტეხასში, დიდი გზებისგან მოშორებით, ქალაქი ალბენი მდებარეობს. აქ სულ 1900 ადამიანი ცხოვრობს. ქალაქის ერთადერთი ღირშესანიშნაობა ციხეა, რომლის გალავანი დღეს უკვე პატიმრებს კი არა, სახვითი ხელოვნების შედევრებს იცავს.

Old Jail Art Center-ის 1550 კვადრატული მეტრის ფართობზე მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილი ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი: პოლ კლეის "გზა ლურჯისკენ", ამადეო მოდილიანის "ნაწნავებიანი გოგონა", ოგიუსტ რენუარის "ქუდიანი ქალი" თუ ხუან მიროს "ტრაპეციდი". ამ უჩვეულო მუზეუმის კოლექციაში გოიასაც შეხვდებით, ტულუზ-ლოტრეკსაც და მატისსაც.

პატარა ქალაქი თავის მუზეუმით ძალიან ამაყობს – და სამართლიანადაც. მუდმივმოქმედი გამოფენის გარდა, აქ ცალკეულ დარბაზებს თანამედროვე ხელოვანებსაც უთმობენ ხოლმე. ამჟამად დამთვალიერებელს ტეხასელი ფოტოგრაფის, მაიკლ ო`ბრაინის ნამუშევრებს სთავაზობენ.

მუზეუმში ხშირად იმართება სემინარები, ლექციები, შეხვედრები მხატვრებთან, ხოლო სკოლის მოსწავლეებს აქ ხელოვნების ისტორიას თვალსაჩინო მაგალითებით ასწავლიან.

შენობა – ყოფილი ციხე – 1877 წელს აუგიათ. 1940 წელს მისი დანგრევა გადაწყდა, მაგრამ საქმეში დრამატურგი რობერტ ნაილი ჩაერია – ის წარმოშობით ალბენელი იყო. მან შენობა შეისყიდა და ქალაქის ხელმძღვანელობას მისი მუზეუმად გადაკეთება შესთავაზა. მართალია, დიდი ხნის შემდეგ – 1980 წელს, მაგრამ ეს ჩანაფიქრი მაინც განხორციელდა: მუზეუმი გაიხსნა და რამდენჯერმე კაპიტალურად შეაკეთეს კიდეც. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელისთვის ხარჯები მთლიანად შემოწირულობებით დაიფარა, ქალაქს ძალიან უყვარს თავის მუზეუმი.

ექსპონატების უმრავლესობა კერძო კოლექციების მფლობელთა შემოწირულობებია, ცალკეული ნამუშევრები კი დიდმა ფირმებმა და ბანკებმა საგანგებოდ ამ მუზეუმისთვის შეიძინეს.

და აი, მე-19 საუკუნის ფოლადის კარების, ჯაჭვებისა და გისოსიანი ფანჯრების გვერდით დღეს მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების - ძველი ბერძნული და რომაული მარმარილოს ქანდაკებების, მინ და ჰანის დინასტიების ლარნაკების, იაპონური მხატვრობისა და ლათინოამერიკული კერამიკის ნიმუშების ხილვა შეიძლება. განსაკუთრებით საამაყო პრეკოლუმბიანური ხანის ხელოვნების კოლექციაა, და ერთი დარბაზი, სადაც ამერიკის სამხრეთ-დასავლეთისთვის დამახასიათებელი ყოველდღიური ყოფის საგნებია თავმოყრილი: ძველი უნაგირები და დეზები, რევოლვერები და თოფები, და ინდიელთა ნახელავი სამკაული.

ციხე-მუზეუმი

მარმარილო, ოქრო და სპილოს ძვალი

ის, რაც ათასი წლის განმავლობაში mira magnitudinis-ად, უდიდეს საოცრებად ითვლებოდა, არქეოლოგებმა მართლაც აღმოაჩინეს: ოტო დიადის (912-973) ტაძრის ნაშთები. ცნობილია, რომ მაგდებურგის კათედრალურ მოედანზე აღმართული დიდებული ტაძარი, რომელიც ალპების ჩრდილოეთში ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო შენობა იყო, 1207 წელს დიდი ხანძრის დროს განადგურდა.

ამჟამად ექსპერტები მისი ნაშთებისა და წერილობითი წყაროების მეშვეობით ტაძრის რეკონსტრუქციას და ოტოს ხანის სურათის აღდგენას ცდილობენ.

დიად ოტოდ ცნობილი ოტო პირველი, მე-19 საუკუნემდე არსებული "გერმანელი ერის წმინდა რომაული იმპერიის" დამფუძნებლად ითვლება. თავის საყვარელ სამყოფელში, მაგდებურგში, მონარქმა დაახლოებით 960 წელს შთამბეჭდავი ქვის ნაგებობის შენება დაიწყო. კათედრალური ტაძარი ელბას მაღალ ნაპირზე იყო აღმართული, და მდინარეზე მოგზაურობისას ვაჭრებს "მეორე რომის დიდებით" ტკბობის საშუალება ჰქონდათ.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადს ორი მძლავრი კოშკი ამშვენებდა, 25 მეტრიანები, ხოლო თვით "ღვთის სახლი" 40 მეტრის სიმაღლისა იყო. შუა საუკუნეების მატიანე მოგვითხრობს, რომ იმპერატორმა ტაძრის მოსართავად "ძვირფასი მარმარილო, ოქრო და პატიოსანი თვლები" იტალიიდან ჩამოატანინა, ისევე, როგორც მარმარილოსა და გრანიტის "კეთილშობილი სვეტები". კედლის მხატვრობას ასობით სანთელი ანათებდა.

"ღვთის სახლის" მრავალი მოსართავი დღემდე შემონახულია, უბრალოდ, საუკუნეების განმავლობაში მთელ მსოფლიოში მიმოიფანტა. 2001 წელს, ოტო დიადისადმი მიძღვნილი გამოფენისთვის, მათი თავმოყრა შესაძლებელი გახდა. მათ შორის იყო 16 (ოდესღაც 50) ოქროთი დამშვენებული სპილოს ძვლის ფირფიტა, რომლებიც 970 წელს მილანელმა ოსტატებმა ოტო დიადის ბრძანებით დაამზადეს და რომლებიც ტაძრის მთავარ საკურთხეველს ამშვენებდა. შემონახულია ეგვიპტური ვარდისფერი ქვისგან დამზადებული საკურთხეველიც, და მრავალი სხვა.

მაგდებურგელები საუკუნეების განმავლობაში ამაყად იხსენებდნენ თავიანთი კათედრალური ტაძრის დიდებას, და ახლა კი, არქეოლოგიური აღმოჩენის წყალობით, უკვე ორმაგი შემართებით, ზემოდან დასცქერიან კიოლნელებს – განა მაგდებურგს ნაკლები ტაძარი ჰქონდა!?

ოტო დიადის ტაძრის მაკეტი

TV პროგრამა
14 აგვისტო

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "ღამით გაქცეული". მთ. რ-ში: ენდრიუ მაკარტი, სკოტ გლენი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "ფრენის სიჩქარე" **11.45** დოკ.სერიალი "ავიაშოუ" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.00** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.15** მხ. ფილმი "გზაჯვარედინები" **16.45** დოკ.სერიალი "ავანტიურისტი მედიკოსები" **17.10** ტელესერიალი "ძილის წინ" **17.25** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.40** "ერთი თეთრიც ფულია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** პალიტრა **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.15** საქართველო არის ესე **22.40** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება?!" **00.00** მხ. ფილმი "სიკვდილი ჰოლივუდში".

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროლოლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ცოცხალზე" მთ. რ-ში ჯეემი ფოქსი, დევიდ მორზი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "ნაპოლეონი" მე-2 ნ. მთ. რ-ში ჟერარ დეპარდიე. **03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "ქვის მფარველები" **21.00** დიდი დასვენება **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი "დანაშაულის გენეალოგია".

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 3" **13.30** მხ.ფილმი "იამაკასები" **15.00** მხ.ფილმი "შუმია" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ბარი ველური კოიოტი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი" **22.30** მხ. ფილმი "ნიკი, ეშმაკი შვილი".

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ბორნის იდენტიფიკაცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "კისრისტეხით" **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.40** მხ. ფილმი "უცხოელი" **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **22.15** დიალოგი **23.45** მუსიკა **00.05** მხ. ფილმი "წითელი სირენა".

მეცხრე არხი

09.30 სერიალი "ყრმა სახელად იესო" **10.20, 14.20, 15.15, 17.20, 19.50, 22.35** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.10** მხ. ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი" **13.50** კინოგადაცემა "ნუმერატორი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.30** სერიალი "ღამის ექიმები" **16.30** დოკ. სერიალი "ბასტერ კიტონი" **17.50** სერიალი "ყრმა სახელად იესო" **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.10** სერიალი "ღამის ექიმები" **22.00** დოკ. ფილმი "მოჩვენებათა თავგადასავალი" მე-2 ს. **22.25** ტელემეტრი - რეზინის აუზები- ლაქების ამოყვანა **22.50** მოკლ. მხ. ფილმი "მსუბუქი დარტყმა", "მოლარე" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** რუს. მხ. ფილმი "კიკსი".

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** არტ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "გოია ბორდოში" **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე "ოინბაზი"

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ზღაპარი "დაბრუნება ოზების ქვეყანაში" **11.00, 14.05** ვიდეოარტი **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.10** მელოდრამა "გონება და გრძნობები" **14.10** ფანტასტიკა "ვირტუალური რეალობა" **15.45, 20.30** მუსიკა **16.10, 19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი **17.25** კომედია "ნაციონალური თევზაობის თავისებურებანი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40** ვიდეოარტი **19.45** "პირის-პირ" **20.45** ვესტერნი "რაზმი" **21.55** "გალერეა" **22.40, 02.40** მუსიკა **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი "მორიდებული შპიონი" **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.20** კომედიური თრილერი "კონტრაბანდისტები".

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.25** მელოდია **10.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** მელოდია . **11.20** აუდიო-ვიდეოტელე **12.10** დისნეი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.50** მელოდია **13.00** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.15** კომპიუტერული ტექნიკა **20.50** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.15** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.35** მობილურები **22.15** "კინოკლუბი " - "ბეტმენი". მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ: ტიმ ბარტონი. როლებში: ჯეკ ნიკოლსონი, კიმ ბესინჯერი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-14 სერია **01.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **02.00** ანონსი.

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00** Сериал "Земля любви, земля надежды" **11.10** Сериал "Ребята из нашего города" **12.05** "Смехопанорама" **12.35** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.15** Худ.фильм "В мертвой петле" **14.50** "Непутевые заметки" **15.10** Э. Радзинский. "Золотой век авантюристов". Фильм 4 **16.15** Комедия "Леди Удача" **18.30** Док. детектив "Заказ на самоубийство" **19.20** "Сами с усами" **19.50** Худ.фильм "Затерянный мир", 1 с. **22.00, 00.30** "Время" **22.30** Сериал "Крестный отец" **23.35** Сериал "Шпионка" **01.00** "Сканер" **01.30** "Гении и злодеи". А.Ханжонков **02.00** Боевик "Роллерболл".

РТР

06.00 "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55** Сериал "Каменская" **10.50** Сериал "Возвращение Будулая" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** Детектив "Марш Турецкого 2" **14.50, 17.30, 00.20** "Вести. Дежурная часть" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30** Сериал "Семейные тайны" **18.10** Сериал "Гражданин начальник" **19.05** Сериал "Линия защиты" **20.00** Сериал "Комиссар Рекс" **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00** Детектив "Марш Турецкого 2" **00.00** "Вести +" **00.40** Детектив "Неопровержимые улики" **02.45** "Дорожный патруль" **03.00** Сериал "От Земли до Луны" **03.55** Мелодрама "Голливудские жены".

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **10.00** Золотой фонд НТВ. "Намедни-94" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Растительная жизнь". К. Лучко **12.00** "Кулинарный поединок: Россия - Грузия" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35** Сериал "Крот" **15.40** "Криминал" **16.35** "Принцип "Домино". Сколько пить за рулем? **18.25** Сериал "Скорая помощь 3" **19.20** "Очная ставка". "Путевка в рабство" **20.35** Сериал "Улицы разбитых фонарей" **21.50** Сериал "Крот" **23.00** "Страна и мир" **23.30** Сериал "Клан Сопрано" **00.45** Сериал "Улицы разбитых фонарей" **02.25** "Гордон" **03.20** Сериал "Воры" **04.05** Кома.

ბუში ჯოჯოხეთში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში მინეაპოლისი,
36 გრადუსი ცელსიუსით

აქ თითქმის ისევე ცხელა, როგორც ტეხასში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჯოჯოხეთში მოხვდა. ცოდვებისთვის. მაგრამ არა ერაყის ომის გამო, არამედ იმიტომ, რომ სპორტული ფორმა დაკარგა და სამი კილოგრამი მოიმატა. ჯოჯოხეთი, რომელშიც ბუში აღმოჩნდა, დანტეს ჯოჯოხეთი როდია.

ბუშის ჯოჯოხეთი მისი ტეხასური რანჩოა, კროუფორდის მახლობლად, სადაც ტემპერატურა ცელსიუსით 45 გრადუსს აღწევს ხოლმე...

გასულ პარასკევს, თაკარა მზის ქვეშ რეპორტიორებისთვის ინტერვიუს მიცემის დროს, ბუში შეძლებისდაგვარად მის სწრაფად დასრულებას ეცადა.

- დავიშალოთ, სანამ მზეს დაუკრავს, - თქვა პრეზიდენტმა. შემდეგ "გამოასწორა". – სანამ მზეს თქვენთვის, ჟურნალისტებისთვის დაუკრავს.

ჟურნალისტები გულის სიღრმეში მენის შტატში პრეზიდენტის მამის გრილ სამფლობელოზე ოცნებობენ. მაგრამ მამა ბუში, უკვე რა ხანია, "ექსი" გახდა.

ჯოჯოხეთში მხოლოდ ბუში როდი აღმოჩნდა. მან თან მთელი თავის გუნდი გაიყოლა – საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის, ეკონომიკის მთავარი მრჩევლები და ყველაზე "მსუქანი კატები" – მისი საარჩევნო კამპანიის დონორები.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის გვერდში დგომა დიდი პატივია. ჯოჯოხეთშიც კი. მაგრამ ყველა, ვინც მასთან ერთად ცეცხლში მოხვდა, შეძლებისდაგვარად სწრაფად ცდილობს თავის დაღწევას. მაგალითად, "მსუქან კატებს" იქვე, სიახლოვეში, ვეიკოს აეროპორტში თავიანთი პირადი თვითმფრინავები სულ მზადყოფნაში ჰყავდათ. ბუშთან ერთად სადილად ბარბიქიუს, ჰამბურგერების, სოსისების და ბიფშტექსების მირთმევის შემდეგ – 40 გრადუსიან სიცხეში! – მათ დაუყოვნებლივ აეროპორტისკენ გასწიეს, ისე, რომ პრეზიდენტის რანჩოს დათვალიერებაც არ მონდომებიათ. ვეიკოს ტბაშიც კი არ ჩაუყვინთავთ!

მდიდარ ხალხს ყველაფრის უფლება აქვს. მდიდრებს და პრეზიდენტის ძაღლებს. მისმა ძაღლმა, სახელად "სპოტმა", თავხედურად მიატოვა თავის პატრონი, როცა ის რეპორტიორების კითხვებს პასუხობდა, და კონდიციონერებით გაგრილებულ სახლში მიიმალა. მაგრამ, თეთრი სახლის პრესკორპუსი და ადმინისტრაცია იძულებული იყო ნელ ცეცხლზე დაეწვა თავი. მდგომარეობა აქვთ ასეთი – დიდი ცოდვილებისა.

იმ დროს, როცა ადგილობრივი გაზეთები მცხოვრებლებს აფრთხილებდნენ, სახლიდან არ გახვიდეთ და ფიზიკულტურისგან თავი შეიკავეთო, პრეზიდენტი ბუჩქნარს კაფავდა, თევზაობდა და რამდენიმე მილს დარბოდა კიდეც, რითაც საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებს თავზარს სცემდა. თავიანთი საიდუმლო სამსახურის გამო ისინი ვალდებულნი არიან, პრეზიდენტს თუნდაც ჯოჯოხეთში მისდიონ. ამჯერად მათ ამის გაკეთება არამარტო გადატანითი, არამედ სიტყვის სრული მნიშვნელობითაც უწევდათ.

იქაურმა მცხოვრებლებმა ჩათვალეს, რომ მათმა მეზობელმა პრეზიდენტმა გააფრინა. "სიგიჟეა!" – ამბობდა, მაგალითად, პოლიციის კაპელანი ვინე კასტილო. მისმა მეუღლემ, მართამ კი თქვა: "ქუჩაში სულ ორი წუთით ვიყავი გასული და ესეც მეყო".

საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებს, რომელთაც აგვისტოში ტეხასში მორბენალი ბუშის თანხლება უწევდათ, პრეზიდენტის გულუხვი ანაზღაურება ელოდათ. მან ისინი თავის ექსკლუზიურ "100 გრადუსის კლუბში" გააწევრიანა. ამ კლუბის წევრობა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვინც პრეზიდენტის ტეხასურ რანჩოს ფარენჰეიტით 100-გრადუსიან სიცხეში ეწვია (ცელსიუსით 38 გრადუსი).

ჯერჯერობით, კროუფორდული პაპანაქების ატანა ყველაზე დიდხანს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს და მის მოადგილე რიჩარდ არმიტიჯს მოუხდათ. როგორც ჩანს, მათ სხვებზე მეტი ოფლის დაღვრა იმიტომ მოუწიათ, რომ ჭორი გავრცელდა, ბუშის მეორე ვადაზე არჩევის შემთხვევაში ორივე გადადგომას აპირებსო. პაუელის შემთხვევაში ეს ვითომდა მისი მეუღლის, ალმას დაჟინებაა, რომელიც, სხვათა შორის, კოლინს კროუფორდის ჯოჯოხეთშიც ჩაჰყვა. როგორც ჩანს, "ღვთაებრივი კომედიის" ჩემეული ვერსიის გამოქვეყნების დროისთვის პაუელისა და არმიტიჯის რეკორდს ეროვნული უშიშროების სფეროში ბუშის თანაშემწე კონდოლიზა რაისი მოხსნის. ისიც – სამსახურეობრივი მოვალეობის გამო – დიდ დროს ატარებს პრეზიდენტთან, და ამაში მას მხოლოდ საიდუმლო სამსახურის აგენტები და ბუშის ძაღლები თუ სჯობნიან.

კროუფორდის კაფეში ბუშმა თავის ჯოჯოხეთური მდგომარეობის საიდუმლო გაამხილა. თურმე 2 აგვისტოს, რეგულარული სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, გაირკვა, რომ მან სამი კილოგრამი მოიმატა. ექიმები მის დამშვიდებას ეცადნენ, უმტკიცებდნენ, რომ წონის მომატება კუნთების განვითარების ხარჯზე მოხდა. მაგრამ ბუშის გაბრიყვება იოლი არაა. პრეზიდენტმა მუცელზე მოიკიდა ხელი და ჟურნალისტებს უთხრა:

- როცა 57 წლის ხარ, ზუსტად იცი, სადაცაა ეს დამატებითი წონა.

მიუხედავად ამისა, ბუშმა და მისმა თანმხლებმა პაეულმა, რომელსაც ასევე მუცელზე აქვს ხელი ჩავლებული, მაღალკალორიული ჩისბურგერები და ფრანგული კარტოფილი მიირთვეს სადილად.

ომის ღმერთს ჯოჯოხეთშიც კი უმართლებს. როცა პრეზიდენტის რანჩოზე ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, პენტაგონის შეფი დონალ რამსფელდი და შტაბების უფროსების გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე, გენერალი მაიერსი ჩავიდნენ, კროუფორდში კოკისპირულად წვიმდა და ტემპერატურა ცელსიუსით 30 გრადუსამდე დაეცა. ვაშინგტონელები ერაყში არსებულ მდგომარეობას განიხილავდნენ, სადაც ამჟამად ტეხასზე მეტადაც კი ცხელა, და ამერიკელი ჯარისკაცები არა მარტო პარტიზანების ტყვიებისგან, არამედ ბაღდადის მზისგანაც იღუპებიან.

ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ, რომელიც, ჩვეულებრივ, შტატ ვაიომინგში თავის ვილასთან გრანდ-ტეტონსთან ცივ წყაროს წყლებში ამჯობინებს ხოლმე კალმახების ჭერას, პრეზიდენტის რანჩოს ტბორში თევზაობაც კი გაბედა.

- დიკ ჩეინი შესანიშნავი მეთევზეა,- შეაქო ბუშმა თავის "ვიცე".

- მაგრამ "100 გრადუსის კლუბის" წევრობა ვერ შევძელი, - დაიმორცხვა "ვიცემ"...

როგორც ჩანს, დიკ ჩეინიმ სწორედ სიმორცხვის გამო არ თქვა ისიც, რომ მისი ყოფილი კომპანია "ჰალიბარტონიც" ჩინებული მეთევზე გამოდგა – ერაყის ნავთობის ექსპლუატაციის ყველაზე დიდი შეკვეთები დაითრია.

ბუშის ტეხასურ ჯოჯოხეთში იმდენად მეფისტოფელის გოგირდის სუნი არ დგას, რამდენადაც ნავთობის და დოლარებისა. 16 აგვისტოს კროუფორდში ფინანსთა მინისტრის, ჯონ სნოუს ჩასვლას ელიან. და მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი "თოვლს" ნიშნავს, ბუშის ჯოჯოხეთს ისიც ვერ გააგრილებს.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.